# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№114 (9794) 2024 წლის 4 ოქტომბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი


# მეგობრები ასე არ იქცევიან!




3

ქართველ და უკრაინელ ხალხებს მეგობრობის ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ, რომელსაც დიდი მოფრთხილება სჭირდება!



ანდრია აფაქიძე

## კავკასიის არქეოლოგიის ბურჯი

5

# კანონი, რომლის უკან დგას ერიც და ბერიც!



შალვა პაპუაშვილმა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის“ კანონს გუშინ ხელი მოაწერა

2



## მისტიკა ქართული ანბანისა

10

# ამერიკული შოუბიზნესის მორალური დეგრადაცია!



გარყვნილება, ნარკოტიკები და რეკეტი: როგორ გამჟღავნდა ამერიკული შოუბიზნესის უზნეობის დიდი საქმე...

2






ვანო ჩხიკვაძე

7

## ჩენჩოს ფასი აქვს ჩვენს შეგონებას!



# კანონი, რომლის უკან დგას ერიც და ბერიც!

**შალვა პაპუაშვილმა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის“ კანონს გუშინ ხელი მოაწერა**

**„სიმბოლურია, რომ უსამშობლო და ღირებულებადაკარგული ოპოზიციის ნომინალური ლიდერი, რომლადაც იქცა მილევადი პრეზიდენტი, უარს ამბობს, ხელი მოაწეროს კანონს, რომელიც იცავს ადამიანისთვის ყველაზე ღირებულს – ოჯახსა და ბავშვებს. ამ უარიდან კარგად ჩანს, სად დგას სალომე ზურაბიშვილი და სად დგანან მას ამოფარებული უსამშობლო ოპოზიციონერები, რომლებსაც იმდენი გამბედაობაც არ აღმოაჩნდათ, რომ ღიად გამოეხატათ აზრი ამ კანონთან დაკავშირებით და სამარცხვინოდ გაიპარნენ დარბაზიდან კანონზე კენჭისყრის დროს“**, – წერს შალვა პაპუაშვილი.

მისი თქმით, კანონი, რომელსაც ხელს აწერს, არ ასახავს მიმდინარე, დროებით, ცვალებად იდეებსა და იდეოლოგიებს, არამედ ეფუძნება საღ აზრს, ისტორიულ გამოცდილებას და საუკუნეებით გამყარებულ ქრისტიანულ, ქართულ და ევროპულ ღირებულებებს.

„კარგად მესმის, რომ ამ კანონის ხელმოწერა კრიტიკას გამოიწვევს ზოგიერთი უცხოელი პარტნიორისაგან, მაგრამ ქართველებს არასდროს შეგვშინებია სხვათა შეფასებების, როდესაც ამას ჩვენი რწმენა, საღი აზრი და ქვეყნის ერთგულება გვავალდებულებდა და როდესაც ვხედავდით, რომ ცივილიზაციური დინებები არასწორ კალაპოტს ჭრიდნენ. ამან გამოგვატარა ათასწლეულები. ასე შევინარჩუნეთ ჩვენი იდენტობა. ამავე დროს, იმავე უცხოეთში, ჩვენ ვხედავთ მილიონობით ადამიანის სულისკვეთებას, რომელიც თანხმობაშია ამ კანონთან.

ეს კანონი იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას, ისე, რომ სხვა ადამიანების უფლებები არ შეილახოს, რაც არის კიდეც ნამდვილი დემოკრატიის არსი და იდეა.

შემწყნარებლობა იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის გამორჩეული თვისება. თუმცა, უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ შემწყნარებლობა ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებულ თანაცხოვრებას გულისხმობს და არა ერთმანეთის ჯიბრზე ცხოვრებას და სხვისი რწმენისა და ღირებულებების უგულებელყოფით სამოქალაქო მშვიდობის დარღვევას.

ეს კანონი ერთ-ერთია, რომელსაც ყველაზე დიდი სახალხო მხარდაჭერა აქვს. 2024 წლის 17 მაისს მილიონამდე საქართველოს მოქალაქე გამოვიდა საქართველოს ქალაქების ქუჩებში, რითაც შედგა ფაქტობრივი რეფერენდუმი ამ კანონზე. მისი მიღების პროცესში გვქონდა ასევე განხილვები რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან, სადაც როგორც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ისე სხვა რელიგიურმა კონფესიებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ამ კანონის სულისკვეთებას. ამიტომ ჩემთვის ამ კანონზე ხელის მოწერა არის ყველაზე დიდი ლეგიტიმაციის მქონე ხელმოწერა. ხელმოწერა, რომლის უკან დგას ერიც და ბერიც“!

**3 ოქტომბერი, 2024 წ.**

# აშშ: ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრებისთვის სანქციები არავის დაუწესებია!

**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში აცხადებენ, რომ აშშ-ს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრებისათვის სანქციები არ დაუწესებია.**

**„ბიძინა ივანიშვილის ან მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ შეერთებულ შტატებს ფინანსური სანქციები არ დაუწესებია. აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი საჯაროდ აქვეყნებს ყველა ფინანსურ სანქციას“.**

**ცნობისთვის, ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრებისთვის სანქციების დაწესების შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანია „ფორმულამ“ 2 ოქტომბერს გაავრცელა.**



# ამერიკული შოუბიზნესის მორალური დეგრადაცია!

**გარყვნილება, ნარკოტიკები და რეკეტი: როგორ გამჟღავნდა ამერიკული შოუბიზნესის უზნეობის დიდი საქმე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამერიკული მუსიკალური ინდუსტრია შოკირებულია შონ კომბსის, ჰიპ-ჰოპ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის შინაარსით.**

**წაყენებული ბრალდებები სექსუალურ ექსპლუატაციას, რეკეტს და სხვა მძიმე დანაშაულებს მოიცავს. ეს მოვლენა იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის შოუბიზნესში გამოვლენილი მორალური რღვევის ხანგრძლივი პროცესის კულმინაცია.**

### პრობლემის ფესვები

ამჟამინდელი სიტუაციის სათავე 1970-იან წლებშია, როდესაც სლოგანი „სექსი, ნარკოტიკები და როკ-ენ-როლი“ გახდა მუსიკალური ინდუსტრიის არაოფიციალური დევიზი. ის, რაც თავდაპირველად აღიქმებოდა გამოხატვის თავისუფლების ნიშნად, დროთა განმავლობაში გარდაიქმნა ტოქსიკურ კულტურად, სადაც ძალადობა ნორმად იქცა. ამ კულტურამ შექმნა სისტემა, რომელშიც ძლევამოსილ მოღვაწეებს შეეძლოთ სუსტების დაუსჯელად ექსპლუატაცია. ძალადობის მსხვერპლები ხშირად უძლურნი იყვნენ მოძალადეების წინააღმდეგ წასულიყვნენ.

### რატომ მოერიდა მუსიკალური ინდუსტრია #MeToo-ს

**მიუხედავად** იმისა, რომ **#MeToo** მოძრაობამ გამოიწვია გამოცხადებების ტალღა ჰოლივუდში, პოლიტიკასა და მედიაში, მუსიკალური ინდუსტრია დიდი ხანია, რჩება ამ პროცესის ჩრდილში. ექსპერტები ასახელებენ ამ „იმუნიტეტის“ რამდენიმე მიზეზს:

**1. დეცენტრალიზებული ძალაუფლების სტრუქტურა ინდუსტრიაში**

**2. ბუნდოვანი საზღვრები სამუშაოსა და წვეულებებს შორის**

**3. ხელოვანებისა და ტოპ მენეჯერების თაყვანისცემის კულტი**

**4. A-list ცნობილი ადამიანების ხმამაღალი ბრალდებების არარსებობა**

როგორც გაირკვა, სინამდვილეში მთელი მუსიკალური ინდუსტრია არის გარყვნილებისა და ექსპლუატაციის ტოქსიკური გარემო.

### შონ კომბსის საქმე, როგორც გარდამტეხი წერტილი

**ამერიკული** მუსიკალური ინდუსტრიის მორალური დეგრადაცია ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა შონ კომბსის




შემთხვევაში. კომბსი, რომელიც ჰიპ-ჰოპის სამყაროში ცნობილია როგორც **Diddy, Puff Daddy** და **P. Diddy,** აღმოჩნდა სკანდალის ეპიცენტრში, რამაც მუსიკალური **Olympus**-ის გამოცდილი მოსახლეობაც კი შეაძრწუნა. ადამიანი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში კარნახობდა მოდას და ტენდენციებს, საზოგადოების წინაშე უჩვეულო როლში გამოჩნდა – ბრალდებულია სერიოზულ დანაშაულებში.

**კომბსის წინააღმდეგ ბრალდებების სია იკითხება ტაბლოიდური თრილერის სცენარით: სექსუალური ექსპლუატაცია, რეკეტი, იძულებითი პროსტიტუცია. საქმის მასალების მიხედვით, ჰიპ-ჰოპის მაგნატმა**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საქართველოს რესპუბლიკა

საზოგადოება ქართული

SOS!

# მეგობრები ასე არ იქცევიან!

**ქართველ და უკრაინელ ხალხებს მეგობრობის ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ, რომელსაც დიდი მოფრთხილება სჭირდება — „საზოგადოება ქართული“**



## „ქართველი მაღალჩინოსნები“ უკრაინიდან იმუქრებიან

**ქართველ და უკრაინელ ხალხებს მეგობრობის ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ, რომელსაც დიდი მოფრთხილება სჭირდება, – აღნიშნულია „საზოგადოება ქართულის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

„**რა** სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“, – ეს სიტყვები დიდ უკრაინელ პოეტს ლესია უკრაინკას ეკუთვნის, რომლის აღდგენილი სახლ-მუზეუმი მალე გაიხსნება. მას უყვარდა საქართველო, ქვეყანა, რომელმაც მიიღო და თავი მეორე სამშობლოში აგრძნობინა. ისევე, როგორც დიდ ქართველ პოეტს, დავით გურამიშვილს სამშობლოდან შორს ყოფნისას ნუგეში და გადარჩენა მისცა უკრაინამ.

ჩვენ დღემდე გვტკივა და ვგლოვობთ მეორე მსოფლიო ომში უკრაინის გასათავისუფლებლად დაღუპულ ჩვენს თანამემამულეებს. მხოლოდ ქერჩთან გმირულად დაიღუპა 120 000 ქართველი მეომარი. ვმადლობთ იმ უკრაინელებს, რომლებიც აფხაზეთში ჩვენ გვერდით ებრძოდნენ ოკუპანტს და პატივს მივაგებთ უკრაინაში რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებს, რომელთაგანაც 50-ზე მეტი უკვე შეეწირა უკრაინისთვის ომს.

ეს ისტორიაცაა და დღევანდელობაც. მაგრამ ახლა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში რთული პერიოდია და უკრაინის ხელისუფლებების მცდელობებით წარმოქმნილი პრობლემები, მხოლოდ ჩვენი ორი ხალხის საზოგადოებების მტკიცე პოზიციამ შეიძლება აღმოფხვრას. ამიტომ გადავწყვიტეთ, თქვენთვის, უკრაინელი საზოგადოებისთვის მოგვემართა და ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის წუხილი გადმოგვეცა:

გასულ კვირას უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც დაგმო და დაუშვებლად მიიჩნია ჩვენთან პოლიტიკურ რეკლამაში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის დაუნდობელი ომის შედეგების თემატიკის გამოყენება.

ქართველი საზოგადოება და სახელმწიფო ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს უკრაინის სამართლიან ომს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაუგებარია ეს მოწოდება. ჩვენს ხელისუფლებას ხომ იუმორისა და ქილიკის საგნად არ გაუხდიათ უკრაინელების თავდადება, როგორც ეს თქვენმა დღევანდელმა პრეზიდენტმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გააკეთა და რისთვისაც აქამდე ბოდიში არ მოუხდია. ჩვენი მთავრობა კი ამ მაგალითს იყენებს იმისთვის, რათა აჩვენოს უკრაინაში რუსეთის მხრიდან ამ უსამართლო ომის საშინელება და გაუადვილოს ქართველ ხალხს სწორი არჩევანის გაკეთება მშვიდობისთვის.

ასევე გაუგებარია, რისი თქმა უნდოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, როცა აღნიშნავს, რომ „ქართველ ხალხს შეუძლია არ ეშინოდეს ახალი ომის, ვიდრე უკრაინა რუსულ აგრესიას წინააღმდეგობას უწევს. ამ წინააღმდეგობის საშინელი ფასი, ასევე, საქართველოში მშვიდობის ფასია“.

**არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ, ფაქტია, ეს ორივე ნარატივი საქართველოში სწორედ იმ ხალხმა აიტაცა, ვინც საქართველოს დღემდე დამღუპველი მეორე ფრონტისკენ ექაჩება. პოლიტიკოსებმა, ვინც არაერთგზის განაცხადეს, რომ საქართველოში მშვიდობას ამჯობინებენ რაკეტების ცეცხლს და ომს.**

ჩვენ, როგორც ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა, უკრაინელ მეგობრებს გვინდა ავუხსნათ, თუ რეალურად რა დგას ასეთი განცხადებების უკან და რამ შეიყვანა ჩიხში ქართული-უკრაინული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

თითქმის სამი წელია, უკრაინაში მიმდინარე სისხლისმღვრელ ომს შეეწირა ათასობით მებრძოლი, მშვიდობიანი მოქალაქე, ბავშვები, განადგურებულია ქალაქები და სოფლები, მილიონობით ადამიანი გახდა დევნილი. რუსული ოკუპაციითა და სისასტიკით გამოწვეული ეს ტკივილი, გვერწმუნეთ, ისე არავის ესმის, როგორც ქართველ ხალხს, რომელმაც ბოლო 30 წელია, სამი სრულმასშტაბიანი ომი გადაიტანა რუსეთთან, ოკუპირებულია ჩვენი ძირძველი ისტორიული მიწების 20 და იძულებით გადაადგილებულია მოსახლეობის 10 პროცენტი. ამიტომაც ქართველებმა კარგად ვიცით, როგორც მშვიდობის, ისე ომის ფასი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკრაინის ხელისუფლება, ქართველი ხალხის სისხლით მოპოვებული მშვიდობის შენარჩუნების სურვილს ხშირ შემთხვევაში მიუღებელი ინტერპრეტაციით ფუთავს და არამეგობრულ ნაბიჯებს დგამს.

ქართველებს არასოდეს დაგვცდენია სამდურავი უკრაინელების მიმართ, ის თქვენს პოლიტიკურ ელიტას ეკუთვნის, რომელმაც თავშესაფარი მისცა საქართველოს ყოფილი ხელისუფლების გაქცეულ მაღალჩინოსნებს. წარმოიდგინეთ, რომ უკრაინელთა მიერ არჩევნების გზით ჩამოცილებული და დანაშაულში მხილებული ჩინოვნიკები საქართველოში მიგვეღო და აქაური სამთავრობო თანამდებობები ჩამოგვერიგებინა. უკრაინის ხელისუფლებებმა კი სასამართლოს მიერ დანაშაულებში მხილებული პირები გამომწვევად შეიფარეს და უმეტესობას წამყვანი თანამდებობები უბოძეს. დიპლომატიური ეტიკეტით ეს არამეგობრული ნაბიჯებია და აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს არც პოლიტიკურ სიმპათიებს ან ინტერპრეტაციებს სამართლიანობაზე. უბრალოდ, მეგობრები ასე არ იქცევიან.

**საქართველოს მაშინაც კი არ დაუყენებია ეჭვქვეშ პარტნიორული ურთიერთობები და ხალხებს შორის მეგობრობა, როცა, უკრაინელი ჩინოვნიკების ხელშეწყობით, ყოფილი პრეზიდენტი და ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი არეულობის მოსაწყობად და სისხლიანი რევანშისათვის 2021 წელს, არჩევნების წინ, საქართველოში შემოაპარეს.**

ჩვენთვის ასევე განსაკუთრებულად მტკივნეული იყო რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან რამდენიმე დღეში პრეზიდენტ ზელენსკის მიერ ჩვენი ქვეყნიდან ელჩის გაწვევა „მოხალისეების არგამოშვებისა და სანქციებთან დაკავშირებით ამორალური პოზიციის გამო“. ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარდა, ინდივიდუალური ეკონომიკური სანქციები რუსეთს არ დაუწესა მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, თურქეთმა, ისრაელმა. არადა, ელჩი რატომღაც მხოლოდ საქართველოდან გაიწვიეს.

ყველაზე პარადოქსული კი ის იყო, რომ უკრაინას ელჩი არ გაუწვევია ბელარუსიდან, საიდანაც უკრაინაზე რუსეთის პირველი თავდასხმა განხორციელდა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, უკრაინის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ღია და ორგანიზებული შეტევა, მოწოდებები ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ძალისმიერი გზით დაბრუნების თაობაზე; სააკაშვილის უპირობო გათავისუფლებაზე; ვიზიტები დასავლეთში საქართველოს ხელისუფლების, მმართველი პარტიის დამფუძნებლის და მთავრობის წევრების სანქცირების თხოვნით.

ასევე თვალშისაცემი იყო, მათი აქტივობის და ქართული ოპოზიციის დღის წესრიგის თანხვედრა და სინქრონული მოქმედება. ომში მყოფი ქვეყნის პარლამენტის წევრები თუ მაღალი თანამდებობის პირები – დანილოვი, არესტოვიჩი, პოდოლიაკი, გონჩარენკო, ერმაკი და უაქცენტო რუსულით მოლაპარაკე დავით არახამია, გამუდმებით ადანაშაულებდნენ საქართველოს ხელისუფლებას სამშვიდობო პოლიტიკის გამო და პრორუსულად ნათლავდნენ. მთელ ამ კამპანიას კი ნათელი უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ოლექსიი დანილოვმა მოჰფინა და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის სურვილი ღიად გამოხატა: „**თუ დაკავებული იქნებიან თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებით, ეს ჩვენ აუცილებლად დაგვეხმარებოდა, – მათ (რუსებს) სხვა საქმეებიც გამოუჩნდებოდათ გარდა იმისა, რომ გაანადგურონ ჩვენი ქალაქები და სოფლები, დახოცონ ჩვენი ბავშვები და ქალები**“.

საქართველოს ხელისუფლება როდესაც მეორე ფრონტზე საუბრობს, მხოლოდ უკრაინელი პოლიტიკოსების განცხადებებს არ ეყრდნობა. ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ ცხელ წერტილად ქცევის სურვილი იყო და რჩება მსოფლიოში ომის პარტიად აღიარებული გავლენიანი ძალების მიზნად, იმის მიუხედავად, რა შედეგი მოჰყვება ოკუპირებულ ქვეყანაში რუსეთის მორიგ სამხედრო აგრესიას.

ჩვენ ვართ პატარა, სამმილიონიანი ქვეყანა, ბევრად ნაკლები, ვიდრე უკრაინის რომელიმე ერთი დიდი ქალაქია და ვერ გავუძლებთ ახალ ომს პირობებში, როცა რუსული ჯარები დედაქალაქიდან 35 კილომეტრში დგანან და უკრაინის მსგავსად, არც ჩვენთვის მოუწოდებიათ ჩვენს დასავლელ მეგობრებს საჭირო რაოდენობისა და სიმძლავრის საჰაერო თუ სხვა სახის თავდაცვის საშუალებები.

საქართველომ სამი გადახდილი ომიდან სხვა მწარე გამოცდილებაც მიიღო. ამ 30 წელიწადში პატარა ქვეყანა სრულიად მარტო აღმოჩნდა ასჯერ უფრო დიდი აგრესორის წინაშე. ახლაც და მაშინაც, ნატოს უსაფრთხოების ქოლგის გარეშე მყოფი საქართველო ბედის ანაბარა დარჩა. 2008 წელს იგი არავის დაუცავს არც იარაღით, არც ოკუპანტისთვის დაუწესებია რომელიმე ქვეყანას სანქციები, მათ შორის არც თქვენს სამშობლოს, ჩვენთვისაც ძალიან ძვირფას უკრაინას.

საქართველოს საზოგადოებას და ხელისუფლებას, მიუხედავად უკრაინის მთავრობების არამეგობრული ნაბიჯებისა, არასდროს უღალატია მეგობარი ქვეყნისთვის. საქართველო უკრაინის მხარდასაჭერად შეუერთდა 600-ზე მეტ რეზოლუციას თუ განცხადებას საერთაშორისო არენაზე და ყველა უცხოური ინსტიტუტის აღიარებით, ზედმიწევნით იცავს სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საქართველო უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების კუთხითაც ლიდერებს შორისაა და ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ დახმარების უდიდესი ნაწილი ქართულმა საზოგადოებამ შეაგროვა. საქართველო ეხმარება ომით დაზარალებულ 26 000-მდე უკრაინელს, რომლებიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ. ქვეყნის განათლების სისტემამ მიიღო 2 300-ზე მეტი უკრაინელი მოსწავლე, რომელთა უმრავლესობა საშუალო განათლებას უკრაინულ ენაზე და პროგრამით იღებს.

ქართველები არ ვითვლით მეგობრების გაწეულ დახმარებას, ამას მხოლოდ თქვენს მთავრობას ვახსენებთ, რომელიც ახლაც ცდილობს, ჩაერიოს ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და ხელი შეუწყოს საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი ძალების მოსვლას, რომლებიც მზად არიან მეორე ფრონტის გასახსნელად.

მთავრობები და პოლიტიკოსები დღეს არიან და ხვალ არ იქნებიან, არც დღევანდელი ლოკალური სახელმწიფო მიზნებია სამუდამო, არც ეს ომი გაგრძელდება უსასრულოდ. მარადიული ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობაა, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და არ უნდა მივცეთ პოლიტიკურ ძალებს საშუალება, ისეთი ნაჭრილობევი დატოვონ ურთიერთობებში, რომელთა დავიწყებას თაობები დასჭირდება.

**ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის და იმედი გვაქვს, რომ უკრაინელი საზოგადოებაც, რომელსაც დღეს მძიმე განსაცდელის გავლა უწევს, სათანადო პასუხს გასცემს ჩვენს ხალხებს შორის უნდობლობის დათესვის მცდელობებს.**

**მშვიდობა, გამარჯვებები და კეთილდღეობა ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს!“**

**2.X.2024.**



ბათუმის მე-2 საჯარო სკოლაში 900-მდე უკრაინელი დევნილი ბავშვი სწავლობს.

# უზენაესობის პროცესი ერთი ცენტრიდან იმართება

**საქართველო უნდა გათავისუფლდეს ევროინტეგრაციის თემის პოლიტიკური მძევლობისგან, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რეალურად რა ფასის გადახდას ითხოვენ ჩვენგან ევროკავშირის გზაზე თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურებისათვის!**



მიხაილ როთი აქციაზე თბილისში

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო" შექმნის დღიდან ემსახურება საზოგადოებისთვის სრული სიმართლის მიწოდებას იმის შესახებ, თუ რა წინაპირობებს უყენებენ საქართველოს ევროკავშირის გზაზე თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურებისათვის. ესენია: ხელისუფლებაში აგენტურის მოყვანა და შესაბამისად, სუვერენიტეტის დათმობა ბრიუსელისა და ვაშინგტონის სასარგებლოდ; ლგბტ-პროპაგანდის ხელშეწყობა და მისი გამაგრება საკანონმდებლო დონეზე; მიგრანტების უკონტროლო მიღება, რაც პირდაპირ ქმნის ერების იდენტობის გაქრობის საფრთხეს, – ვკითხულობთ „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" წერილში.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ პროცესი ერთი ცენტრიდან იმართება, რომლის გლობალური მიზნებისთვის ლგბტ-იდეოლოგიის გაბატონება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ რეაგირებს ევროკავშირი ყველაზე მძაფრად საქართველოს მიერ აღნიშნული დირექტივის მიუღებლობაზე, ამიტომ ხდება საქართველო უსამართლო და არაობიექტური დამოკიდებულების ადრესატი.

„საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო" შექმნის დღიდან ემსახურება საზოგადოებისთვის სრული სიმართლის მიწოდებას იმის შესახებ, თუ რა წინაპირობებს უყენებენ საქართველოს ევროკავშირის გზაზე თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურებისათვის. ესენია: ხელისუფლებაში აგენტურის მოყვანა და შესაბამისად, სუვერენიტეტის დათმობა ბრიუსელისა და ვაშინგტონის სასარგებლოდ; ლგბტ-პროპაგანდის ხელშეწყობა და მისი გამაგრება საკანონმდებლო დონეზე; მიგრანტების უკონტროლო მიღება, რაც პირდაპირ ქმნის ერების იდენტობის გაქრობის საფრთხეს. ამჯერად, მათგან ერთ-ერთზე – ლგბტ-პროპაგანდის ხელშეწყობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელსაც თავად აშშ-ის მმართველი ძალების მიერ სრულად კონტროლირებადი ევრობიუროკრატია, მთავარ პირობად აყენებს.

27 სექტემბერს ბერლინში გამართულ ქვიარ-კონფერენციაზე გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" ჩვენს ქვეყანას ევროკავშირისგან აშორებს. მსგავსი შინაარსის შეფასება ევროპის ქვეყნების ლიდერების თუ ევროკავშირის ინსტიტუტების ხელმძღვანელი პირებისგან პირველი არ არის. საზოგადოებამ იხილა აგრესიულ ტონში გაკეთებული არადიპლომატიური განცხადებები. ევროკომისიის საგარეო საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის სპიკერი პიტერ სტანო დაგვემუქრა და მანვე გაგვაფრთხილა კიდეც, რომ (ციტატა): „ევროკავშირმა მოინელა ბევრი ტრადიცია, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ახასიათებდა. საქართველოს სურს ევროკავშირში გაწევრება, ამიტომ თქვენც უნდა დაემორჩილოთ კლუბის სტანდარტებსა და პრინციპებს". პიტერ სტანომ იქვე განმარტა, რას გულისხმობს მის მიერ აღნიშნული სტანდარტები და პრინციპები: თუ ჩვენ გვსურს ევროკავშირის გზაზე თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურება, უარი უნდა ვთქვათ ტრადიციულ ღირებულებებზე, აგრესიული პროპაგანდისგან ჩვენი შვილების დაცვაზე, ოჯახის პატივისცემაზე, და უნდა გავაუქმოთ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მხოლოდ პროპაგანდის შეზღუდვას ითვალისწინებს და არანაირად არ ეხება ადამიანის უფლებებს, რომელი უმცირესობის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ის.ქართველი საზოგადოება ხედავს, რომ ორკესტრირებულად, ერთ ხმაში ლაპარაკობენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი **მეთიუ მილერი**, გერმანიის კანცლერი **ოლაფ შოლცი**, ევროკომისიის საგარეო საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი **ჟოზეფ ბორელი**, მისი სპიკერი **პიტერ სტანო**, ბუნდესტაგის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაელ როთი**, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი **მაიკლ ო'ფლაჰერტი** და ევრობიუროკრატიის სხვა წარმომადგენლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროცესი ერთი ცენტრიდან იმართება, რომლის გლობალური მიზნებისთვის ლგბტ-იდეოლოგიის გაბატონება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

სწორედ ამიტომ რეაგირებს ევროკავშირი ყველაზე მძაფრად საქართველოს მიერ აღნიშნული დირექტივის მიუღებლობაზე. ამიტომ ხდება საქართველო უსამართლო და არაობიექტური დამოკიდებულების ადრესატი. ამიტომ ხორციელდება შეტევა ჩვენს ქვეყანაზე და ამიტომ ისმის მუქარები სადამსჯელო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ეს არის ერთადერთი სიმართლე და სრული ტყუილია ბრალდებები დემოკრატიის უკუსვლასა თუ საქართველოს მიერ დასავლური ტრაექტორიის ცვლილებაზე. ევროპული ტრაექტორიიდან სწორედაც რომ ევროკავშირის დღევანდელმა ბიუროკრატიამ გადაუხვია, რამაც წევრი სახელმწიფოები მძიმე კრიზისებამდე მიიყვანა.

გაერთიანება, რომელიც სრულად ექვემდებარება აშშ-ის დღევანდელ რეალურ მმართველ ძალებს და სადაც ფასეულობები უკანა პლანზეა გადაწეული, ერთდროულად განიცდის ეკონომიკურ, დემოკრატიულ და ღირებულებით კრიზისს.ამ ყველაფრის შედეგია, ევროპაში მემარჯვენე პარტიების პოპულარობის ზრდა, რომლებიც აკრიტიკებენ ბრიუსელის პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულებით და ითხოვენ მეტ სუვერენიტეტს საკუთარი ქვეყნებისათვის, რათა თავი დაიცვან უკონტროლო მიგრაციისგან, ლგბტ-იდეოლოგიის დიქტატისგან, ომისა და ეკონომიკური კრიზისისგან.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ საქართველო უნდა გათავისუფლდეს ევროინტეგრაციის თემის პოლიტიკური მძევლობისგან. **ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რეალურად რა ფასის გადახდას ითხოვენ ჩვენგან ევროკავშირის გზაზე თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურებისათვის. სიტყვა „მოჩვენებითს" შეგნებულად ვუსვამთ ხაზს, რადგან კარგად ვხედავთ, რომ არავინ აპირებს საქართველოს ბლოკში მიღებას, განსაკუთრებით ჩვენი სუვერენიტეტით, ტრადიციული ღირებულებებითა და ქრისტიანული მორალით!.."**

**2.X.2024**

## ნაციონალებში დაპირისპირება დაიწყო

# სააკაშვილი სიის პირველ ნომრად დედის ჩაწერას ითხოვდა



**„ნაციონალურ მოძრაობაში" საარჩევნო სიაზე დაპირისპირება დაიწყო. წევრები პარტიის რიგებს ტოვებენ. ზაზა გოგავამ მოითხოვა თავისი გვარის ამოღება პარტიული საარჩევნო სიიდან, სადაც 27-ე იყო. გავრცელებული ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა" დატოვა ირაკლი ეძგვერაძემ, იმავე „ჭყივინამ". მანამდე, 27 სექტემბერს აჰმედ იმამკულიევმა განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" საპარლამენტო სიაში მისი გვარი თანხმობის გარეშე შეიტანა, იმამკულიევმა სთხოვა პარტიის თავმჯდომარეს, სასწრაფოდ ამოეღოთ მისი გვარი საარჩევნო სიიდან.**

**ასევე კულუარულად ხდება ცნობილი, რომ მიხეილ სააკაშვილი სიის პირველ ნომრად დედის, გიული ალასანიას ჩასმას ითხოვდა, თუმცა კეზერაშვილმა ამაზე უარი განაცხადა. არსებობს მოლოდინი, რომ სიასთან დაკავშირებულმა სკანდალმა გაგრძელება პოვოს.**

ზაზა გოგავამ სიიდან ამოღების თაობაზე ცესკოს მიმართა. ზაზა გოგავა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო, 2023 წელს ის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელადაც გამოაცხადეს. თუმცა მის მიმართ პარტიაში და მის მხარდამჭერებში არსებობდა პრეტენზიები, რომ მან სააკაშვილის წინააღმდეგ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ჩვენება მისცა. ასევე, მას პრეტენზიებს უყენებდნენ იმაზე, რომ ის სააკაშვილის წინააღმდეგ განცხადებებით არაერთხელ გამოსულა. არსებობს ვარაუდი, რომ გოგავას 27-ე ნომრად სიაში ჩაწერა ეწყინა და მან უარი ამ მოტივით განაცხადა.

გოგავასთან დაკავშირებით აღნიშნული ინფორმაცია მედიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაუდასტურეს.

როგორც ცესკო-ში აცხადებენ, ზაზა გოგავამ 27 სექტემბერს შეიტანა განაცხადი ცესკო-ში და პარტიებს სიაში ცვლილებების შეტანა 10 ოქტომბრამდე შეუძლიათ.

ნაციონალურ მოძრაობაში კი გოგავასთან დაკავშირებულ ინციდენტს უარყოფენ. მათი მტკიცებით, ის პარტიაში საქმიანობას განაგრძობს და არ ამბობენ, რა გახდა გოგავას წყენის მიზეზი.

„ვერაფრით გიდასტურებთ სიის გამო პარტიაში უთანხმოებას. არანაირი მსგავსი ინფორმაცია მე პირადად არ მაქვს და ტყუილს ხომ არ გეტყვით?!", – აღნიშნა სოფო ჯაფარიძემ.

ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას, რომ მიხეილ სააკაშვილმა მოითხოვა სიის პირველი ნომერი გიული ალასანია ყოფილიყო, ჯაფარიძე ამბობს, რომ ინფორმაციას არც ამაზე ფლობს.

„მართლა პირველად მესმის. ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია. სიის წერაში ნამდვილად არ მიმიღია მონაწილეობა", –- აღნიშნა ჯაფარიძემ.

* * *

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** **for.ge**-თან ამბობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში" როგორც მოსალოდნელი იყო, საარჩევნო სიასთან დაკავშირებით მოვლენები ნამდვილად ასე ვითარდება. აბაშიძის განცხადებით, სრულიად გაუგებარია, რატომ ითხოვს გოგავა სიიდან ამოღებას. დიდი ალბათობით, მას სიის 27-ე ნომრად ყოფნა არ მოეწონა და უფრო წინ სურდა ჩაწერა.

„ჩვენ გვახსოვს სწორედ სიის გამო და კვოტების გაუნაწილებლობის მიზეზით, ნინო ბურჯანაძემ „ნაციონალური მოძრაობა" დატოვა. აქ არის ძალიან ახალი და გაურკვეველი ფენომენი, რადგან უცნობია, რატომ თქვეს უარი იმამკულიევმა და გოგავამ სიაში ყოფნაზე. ასევე ამბობენ, ეძგვერაძემაც უარი თქვაო. აქ ჩნდება უამრავი



კითხვა, რომ ეს ის მონოლითური პოლიტიკური ძალაა, თეორიულად რომ დავუშვათ, ხელისუფლებაში მოვიდნენ ან კოალიციური მთავრობა შექმნან. თუკი სიებთან დაკავშირებით, ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, ეს მიუთითებს იმაზე, რომ აბსოლუტური ბაქანალიაა. შეუძლებელია, ამ სიის დამკომპლექტებელი ერთი პატიმრობაში იყოს, სააკაშვილს ვგულისხმობ და მეორე, გაქცეული ოლიგარქი დავით კეზერაშვილი იყოს. ორივე ადამიანი რეალურ სივრცეში არ არიან, რათა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონ და დისტანციურად

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# კავკასიის არქეოლოგიის ბურჯი




**აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე გახლდათ დიდი ქართველი არქეოლოგი, ისტორიკოსი, პედაგოგი, რამდენიმე ორდენის კავალერი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რომლის სახელიც სამუდამოდ ჩაიწერა საქართველოს სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაში. მისი ღვაწლი არქეოლოგიის განვითარებაში შეუფასებელია, ხოლო მისი კვლევები და აღმოჩენები – საერთაშორისო მნიშვნელობის.**

აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ თავისი ცხოვრება საქართველოს ისტორიის კვლევასა და ძველი კულტურების შესწავლას მიუძღვნა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა საქართველოს უძველეს ეპოქებთან დაკავშირებით, მისი შრომები და გამოკვლევები კი შეუცვლელ წყაროდ რჩება ყველა თაობის მკვლევარისთვის.

ანდრია აფაქიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1943-1952), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი (1952-1972), ანტიკური ხანის არქეოლოგიური განყოფილების გამგე (1972-1989), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1988-იდან). ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

ანდრია აფაქიძე დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს სოფელ ზანაში.

ბატონმა ანდრიამ 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი,



ამავე პერიოდში მუშაობდა კავკასიათმცოდნეობის, არქეოლოგიის ინსტიტუტში. ასპირანტურობის პერიოდში, არქეოლოგიის მიმართულებით კითხულობდა ლექციებს თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე (მიჰყავდა კურსი „წინააზიის არქეოლოგიაში“). მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში, იბრძოდა ჩრდილოკავკასიის ფრონტზე. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ გახდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. ამის შემდეგ კი, მალევე დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად.

ბატონი ანდრიას განსაკუთრებული სიყვარული და დაუღალავი შრომა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ აღიარებული გახლდათ არამხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. აღსანიშნავია, რომ ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა – **„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება“, 1953 წლიდან საფუძველი ჩაუყარა „წყალქვეშა არქეოლოგიას“ სოხუმის ყურესა და არქეოლოგიურ ექსპედიციას შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში – ბიჭვინთაში.** ბიჭვინთის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას თავისი ავტორობით, თანაავტორობითა და რედაქტორობით მიუძღვნა **„დიდი პიტიუნტისადმი“** შექმნილი შრომების სამტომეული („დიდი პიტიუნტი“ I-III, 1975-1978 წწ.), რომელთაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია დაიმსახურეს. სამოციან წლებში აქტიურად დაიწყო გეოფიზიკური მეთოდებისა და კომპიუტერული სისტემების დანერგვა. მანვე შექმნა საქართველოს მეცნიერებათა პრეზიდიუმში მეცნიერების განყოფილების პირველი კომპიუტერული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სადაც განთავსდა ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მონაცემები.

თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი ანდრია აფაქიძემ 1941 წელს გამოაქვეყნა, რომელიც წარმოადგენდა საკანდიდატო დისერტაციის „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“ მოკლე შინაარსს. აღნიშნულ კვლევას, რა თქმა უნდა, საფუძვლად ედო კახეთში, ბაკურციხესთან აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის მრავალფენოვანი არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მის მიერვე იყო გამოვლენილი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ქართულ არქეოლოგიურ წრეში ბატონი ანდრია პირველი იყო, ვინც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით და მიიღო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

**წარმოუდგენლად დიდია ბატონი ანდრია აფაქიძის როლი მცხეთის, საქართველოს ძველი დედაქალაქის, არქეოლოგიური კვლევის საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიურ ექსპედიციას მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. სრულყოფილი კვლევა-ძიებისათვის მან მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, აკად. მ. აბდუშელიშვილთან თანამშრომლობით ჩამოაყალიბა პალეოანთროპოლოგთა სამუშაო ჯგუფიც, რომელთა დახმარებითაც, მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალებზე მნიშვნელოვანი ოსტეოლოგიური კვლევები განახორციელეს. 90-იან წლებში ბატონმა ანდრიამ მცხეთასა და მის შემოგარენში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე, შეძლო ჩამოეყალიბებინა სამეცნიერო-კვლევითი „მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი“.**

მცხეთაში წარმოებული მრავალწლიანი, სრულყოფილი კვლევითი სამუშაოების დასტური გახლავთ ბატონი ანდრია აფაქიძის მონოგარფია **„ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“**, სადაც დეტალურად წარმოადგინა ანტიკური პერიოდის „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნული ნაშრომისათვის, 1964 წელს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია მიანიჭეს. მისი თანაავტორობითა და სამეცნიერო რედაქტორობით გახდა შესაძლებელი ისეთი საეტაპო ტომეულების მომზადება და გამოცემა, როგორიცაა **„მცხეთა I“ (1955წ.), „მცხეთა II-XI“ (1974-2002წ. წ.).**

გარდა ამისა, ფასდაუდებელია ბატონი ანდრიას გამუდმებული ზრუნვა თანამშრომელთა სამეცნიერო წინსვლის ხელშეწყობაში. მისი უშუალო ჩართულობით მომზადდა ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებისა თუ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელთა დისერტაციები. მის სახელსავე უკავშირდება როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი, სომეხი და ჩრდილოკავკასიელი არქეოლოგების მომზადება. ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე, მისი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს **„ქართული არქეოლოგია“ (1959 წ.) და პირველი რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონის (1980 წ.) გამოცემაც.**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მიერ გაწეული შრომა და ღვაწლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობამდე, გზამკვლევი იქნება მომავალი თაობისათვის.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# სამოთხე ტურისტებისთვის




**– ქალაქ ბორჯომის ისტორიული არეალის რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტი მოიცავს როგორც ხიდების აღდგენას, ისე შესაბამისი საინჟინრო ქსელების და სხვა ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას. ამასთან, უკვე მიმდინარეობს ბორჯომის ცენტრალური პარკის განახლება-მოდერნიზება, რომლის შედეგადაც, ქალაქის მცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის პარკში დასვენება კიდევ უფრო საინტერესო გახდება. განახლებული ისტორიული პარკი ბორჯომის ტურისტულ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის“** – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ** ბორჯომის ცენტრალურ პარკში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ბორჯომის ცენტრალური არეალის ურბანული განახლების პროექტის ფარგლებში, განახლდება ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორია და ცენტრალური ისტორიული პარკი.

პროექტი ქალაქებისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება და მისი საორიენტაციო ღირებულება 35 მილიონი ლარი იქნება.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახური**

# სააკაშვილი სიის პირველ ნომრად დედის ჩაწერას ითხოვდა

მეოთხე გვერდიდან

ის სია შეთითხნეს, სადაც იმდენად ძველი სახეებია წარმოდგენილი, საერთოდ, საზოგადოებაში დაინტერესებასაც არ იწვევს",-ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ყველაზე საინტერესო პროცესები „ნაციონალურ მოძრაობაში" იმის შემდეგ დაიწყება, რაც 26 ოქტომბერს ისინი ყველაზე სამარცხვინო შედეგს აიღებენ. აბაშიძე ამბობს, თუ იმათ რომელიმე პოლიტიკოსს ჰგონია, რომ გამსვლელ პოზიციაზეა და რეალურად პარლამენტში ვერ შევიდნენ, აი, დაპირისპირება კი მაშინ მართლა კიდევ უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს.





„ჩვენ ვიცით, რომ დავით კეზერაშვილმა სიაში გარკვეული ადგილები გაყიდა, რომ რამდენიმე პოლიტიკოსს ადგილი მიეღო. ამას ცხადყოფს ნაყოფიას და ნიკოლეიშვილის იქ ყოფნა. ნიკოლეიშვილმა საერთოდ რამე თქვა ამ ბოლო წლების განმავლობაში? სწორედ ეჭვს ეს ამყარებს, რომ ამ ადამიანმა ავაზაკ კეზერაშვილისგან ეს ადგილი იყიდა. თავად ნაციონალები საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილს დედამისი სიის პირველ ნომრად უნდოდა ჩაეწერა. ეს სრული გაუგებრობა, ისევე როგორც სხვა მათ სატელიტურ პარტიებში ხდება, ერთ რამეზე მიანიშნებს, რომ ეს პარტიები 26 ოქტომბრისთვის არ ემზადებიან. მათ კარგად იციან, რომ არჩევნებს წააგებენ და ემზადებიან 27 ოქტომბრისთვის. ამაზე ილაპარაკა პირდაპირ ღიად ნიკა გვარამიამ, რომელიც ამბობს, რომ ცესკოს შედეგები არ გვაინტერესებს, ჩვენ ხალხის აზრი უფრო გვაინტერესებსო. აბა, არჩევნებზე ხალხი არ მიდის? ანუ მათი მიზანია რევოლუციური პროცესების განხორციელება, რაც არ გამოუვათ", – ამბობს აბაშიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## იაგო ხვიჩია: გერმანიაში ბევრი სისულელე ილაპარაკა პრეზიდენტმა...

**„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გერმანიაში ბევრი სისულელე ილაპარაკა.**

„მე არ ვიცი საქართველოს პრეზიდენტმა გერმანიაში რაღაცის ლაპარაკით გერმანიის კანონმდებლობა დაარღვია თუ არა, თუ დაარღვია, ე. ი. ცუდია გერმანიის კანონმდებლობა. ამ შეხვედრებს ჩვენი მეგობრები ესწრებოდნენ და ბევრი სისულელე ილაპარაკა პრეზიდენტმა და ეს უფრო საინტერესო იქნება ჩემი აზრით, ვიდრე დაარღვია თუ არა, მან გერმანიის კანონმდებლობა..."

# ამერიკული შოუბიზნესის მორალური დეგრადაცია!



შონ კომბსი და კასანდრა ვენტურა

მეორე გვერდიდან

**არა მხოლოდ გამოიყენა თავისი თანამდებობა საბაზისო სურვილების დასაკმაყოფილებლად, არამედ შექმნა მთელი კრიმინალური ქსელი, რომელიც მუშაობდა როგორც კარგად შეზეთილი მანქანა. „Freak Party", როგორც თავად კომბსმა უწოდა მათ, აღმოჩნდა დახვეწილი სისტემა ახალგაზრდა ქალების გადაბირებისა და ექსპლუატაციის მიზნით. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. პროკურატურის თქმით, ასევეა ბრალდების კიდევ დიდი ნუსხა: მუქარა, ცემა, ცეცხლის წაკიდებაც კი – როგორც ჩანს, არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელსაც ჰიპ-ჰოპის ეს „მოგეზრებული იმპერატორი" არ არღვევდა.**

ვითარებას განსაკუთრებით ცინიკურს ხდის ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი კომბსის, როგორც წარმატებული ბიზნესმენისა და ქველმოქმედის საჯარო იმიჯის ფონზე მოხდა. სტივენსონის რომანის პერსონაჟის მსგავსად, ის დღისით პატივსაცემი ბიზნესმენი იყო, მაგრამ ღამით ის ურჩხულად გადაიქცა, რომელიც მზად იყო ყველაფრის გასაკეთებლად თავისი ბნელი სურვილების დასაკმაყოფილებლად. ახლა კი ნიღაბი ჩამოგლეჯილია და მსოფლიო საშინლად უყურებს იმ ადამიანის ნამდვილ სახეს, რომელსაც მხოლოდ გუშინ ადიდებდა, როგორც სტილის და წარმატების ხატს.

შონ კომბსის დაპატიმრება ინდუსტრიისთვის შოკი იყო და შესაძლოა კატალიზატორიც... კომბსის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა მისი ყოფილი შეყვარებულის, მომღერალ კასანდრა ვენტურას, კასის სახელით ცნობილი, ჩვენებამ. 2023 წლის ნოემბერში მუსიკალური სამყარო შოკში ჩააგდო მისმა ხმამაღალმა განცხადებამ. შონ „დიდი" კომბსის ყოფილმა პროტეჟემ შეიტანა სარჩელი მანჰეტენის ფედერალურ საოლქო სასამართლოში, სადაც ადანაშაულებს მის ყოფილ მენტორს და პარტნიორს ათწლეულების განმავლობაში სისტემატურ შეურაცხყოფასა და ექსპლუატაციაში. მისი ბრალდებების შემდეგ, კომბსის მიერ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა, სხვა ქალებმაც ღიად დაიწყეს საუბარი.

სარჩელის თანახმად, ვენტურას კოშმარი 2005 წელს დაიწყო, როდესაც ის სულ რაღაც 19 წლის იყო. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში კომბსმა მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, სცემდა, აუპატიურებდა და ნარკოტიკების მომხმარებლადაც კი აქცია. ვენტურა აღწერს ტოტალური კონტროლისა და შიშის ატმოსფეროს. მისი თქმით, კომბსის კომპანიების თანამშრომლები მოქმედებდნენ როგორც მისი პირადი არმია, ფარავდნენ ძალადობის კვალს და ემუქრებოდნენ კარიერის დანგრევით. მომღერალი ამტკიცებს, რომ კომბსი აკონტროლებდა მისი ცხოვრების ყველა ასპექტს, დაწყებული ფინანსებიდან, დამთავრებული სამედიცინო ჩანაწერებით. ვენტურას გადაწყვეტილება დუმილის დარღვევის შესახებ შთაგონებული იყო ნიუ-იორკის შტატის მიერ სექსუალური ძალადობის ზრდასრულთა გადარჩენის შესახებ კანონის მიღებით. ეს კანონი ხსნიდა ხანდაზმულობას დანაშაულზე და ადამიანს შეუძლია სარჩელის შეტანა.



მოძალადე შონი

## ვინ არის შონ კომბსი?

**შონ კომბსი**, რომელიც მსოფლიოში ცნობილია სხვადასხვა სასცენო სახელებით, მათ შორის პაფ დედი და დიდი, ჰარლემის ქუჩებიდან მუსიკალური ინდუსტრიის მწვერვალამდე ავიდა. 1992 წელს **Bad Boy Records**-ის დაარსებით, კომბსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლეგენდარული **The Notorious BIG**-ის კარიერაში და გახდა აღმოსავლეთ სანაპიროს ხმის ერთ-ერთი არქიტექტორი. **BIG**-ის ტრაგიკული სიკვდილი 1997 წელს დაემთხვა **Combs**-ის სადებიუტო ალბომის **No Way Out** გამოშვებას, რომელიც გახდა მულტიპლატინის ჰიტი და განამტკიცა მისი, როგორც არტისტის სტატუსი. მუსიკის გარდა, კომბსი ასევე წარმტებული ბიზნესმენია მოდისა და ალკოჰოლის ინდუსტრიაში. ბოლო წლებში კომბსი ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი იმპერია. 2023 წელს გამოუშვა თავისი მეხუთე სტუდიური ალბომი, **The Love Album: Off The Grid.**

## ინდუსტრიის სისტემური პრობლემები

**კომბსის** საქმემ ხაზი გაუსვა სისტემურ პრობლემებს მუსიკალურ ინდუსტრიაში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ხელმძღვანელ თანამდებობებზე მამაკაცების დომინირებას, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სექსუალური შევიწროებისთვის. ბევრი მსხვერპლი მარტო რჩება მოძალადეებთან, საჭირო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომის გარეშე. დაუსჯელობის სინდრომი ხელს უწყობდა ძვირადღირებულ კოსტიუმებში ჩაცმულ კრიმინალებს, პასუხისმგებლობიდან თავი აერიდებინათ.

მიუხედავად ბნელი სურათისა, ინდუსტრიაში ცვლილებების ნიშნები შეინიშნება. ასევე გაიზარდა სასამართლო პროცესები ინდუსტრიის გავლენის შემსრულებლების წინააღმდეგ, რაც მიუთითებს მსხვერპლთა მზაობაზე, ღიად ისაუბრონ ძალადობის გამოცდილების შესახებ. თუმცა, ბევრი ექსპერტი თვლის, რომ რეალური ცვლილება მოითხოვს უფრო რადიკალურ ზომებს და შოუბიზნესის კულტურის სრულ გადახედვას.

* * *

**შონ** კომბსის საქმე გახდა სარკე, რომელიც ასახავს ამერიკული მუსიკალური ინდუსტრიის ღრმა მორალურ კრიზისს. მან გამოავლინა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა: ტოქსიკური სამუშაო გარემოდან დანაშაულის სისტემურ დაფარვამდე.

ეს სკანდალი შეიძლება იყოს გარდამტეხი მომენტი, რომელიც გზას გაუხსნის დიდი ხნის ნანატრ ცვლილებებს...

თარგმნა
**ქეთევან გიორგაძემ**

# ჩენჩოს ფასი აქვს ჩვენს შეგონებას




## დიალოგი მონტელოს ველზე

**გაჩანა გრეგვაძეს**

გაყუჩებულა მონტელოს ველი,
თიბათვის ღამე მთვარემ აავსო.
ორი ბრძენი, თან ორი სულელი
მითოხარიკობს და მიზაასობს.

ხან შლეგი, ხანაც ბრძენი კატონი,
ხმას დაიბოხებს და ორატორობს –
მიუბრუნდება მსახურს პატრონი:
– მისმინე, სანჩო!
– გისმენთ, ბატონო!

– ჩენჩოს ფასი აქვს ჩვენს შეგონებას
თუ არ ეყოლა კარგი გამგონე,
ხალხი სახედარს უფრო ენდობა,
ვიდრე მეფეს ან გუბერნატორებს.

რაში არგია მრჩეველის ჭკუა,
როცა მსმენელი გონებით ყრუა!

– თუ სულერთია ვინ – წინ, ვინ – უკან,
თქვენმა წყალობამ არ მიმატოვოს,
მაშინ მოდით და ჩემი ვირუკა
ჰერცოგად მაინც დავსვათ, ბატონო.

მოსმენაც იცის, თავის დაქნევაც,
ბოლოს და ბოლოს, ესეც საქმეა.

– მაცალე, სანჩო!
თუ ვკითხავ გუმანს,
ბოლოს ხომ მაინც ვირი ვირია –
აყროყინდება იქ, სადაც სდუმან,
ან გაჩუმდება, როცა ჰყვირიან.

შეეფერება განა მეფობა,
არაკაცს ან მის უვირესობას?

ჩაფიქრდა სანჩო,
ვერ იტყვის ტყუილს,
იფხანა ქეჩო, როგორც სჩვევია,
ესა თუ ისა,
ვაი თუ ვუი,
მართლაც რომ ძნელი ასარჩევია:

– მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ
მაინც შეგკადრებთ, ბრძენო იდალგო,
ქვეყანა, სადაც კაცი არ ვარგა,
არ შეიძლება ვირმაც ივარგოს.

მოკლედ რომ მოვჭრა,
პირი, პირია –
რაც მე ვარ
ისიც ჩემი ვირია!

– როცა არა გაქვს სხვა არჩევანი, –
წინ წკვარამია, უკან ღამეა,
გვაქვს ძაღლყურძენას ორი მტევანი –
ვჭამოთ, რომელსაც ცოტა შხამი აქვს!

– რადგან ეგრეა, ნება მიბოძეთ,
ახლა სხვაგვარად ავწონ-დავწონოთ –
ლურჯა რომ ჩემზე ჭკვიანი იყოს,
არ შემისვამდა ზურგზე, ბატონო!

– სხვა საწუხარი მტანჯავს, მე განა?
ჯავრით როგორ არ გადაირევი,
ისე დაჩლუნგდა ჩვენი ქვეყანა,
რომ პატრონებზე შესხდნენ ვირები...

მწუხარე სახის რაინდის ჯიბრზე
გამობრწყინდება მონტელოს მთვარე,
რომ კიდე ერთხელ დაუფრთხოს ძილი
პანსას და ვირის თვინიერ თვალებს.

ათასი წელი, ღორღიან გზაზე,
მიჩურჩულებენ, უკაბადონო
სამყაროს ართობს მათი ბაასი:
– მისმინე, სანჩო!
– გისმენთ, ბატონო!...

2005

## ძველი თოვლი

დაიფურცლება იანვრის ვარდი –
თეთრი ფიფქების მელანქოლია,
თუმც თოვლთან ერთად ბარდნის და ბარდნის,
ეს თოვლი მაინც სულ სხვა თოვლია.

მახსოვს, იმ ღამეს რაც უნდა მეთქვა,
დღემდე ძვირფასი და დაფარული
და წეროსავით ცალ ფეხზე შემდგარ
ამღერებული ბროლის წკარუნი.

ახლაც მოთოვა,
ახლაც ასეა,
სავსეა მთვარე,
ჭიქაც სავსეა,
თოვლს ვაგუნდავებ,
მაგრამ უშენოდ
ან თოვლს ან გუნდას
რაღა ფასი აქვს.

რა ვიცოდით, რომ ფიფქიც ბერდება –
ვარდის ფურცლები ცაში ჭკნებიან,
რომ სიყვარულის მატარებლები
ძველ სადგურებში არ ჩერდებიან.

## სიკეთე

**ვახტანგ წიწვიაძეს**

არ მიგვატოვებს ღვთიური მადლი,
მისი გაქრობა თუმც ბევრს უცდია,
ვიდრე ჩვენ შორის
ჯერ კიდევ დადის
ვისაც სიკეთის ქმნა შეუძლია.

ცრუ წუთისოფელს ათოვს თუ აწვიმს,
მაინც არ ქრება მისი პარპალი –

აჰა, დიოგენ,
„აგერა, კაცი“,
ვინც „კაცს“ დაეძებს ცოდნის ლამპარით...

## „მერანი“

**(ყოფილი გამომცემლობა)**

ნაცნობს აღარავის ველი და,
გინდა ითავცემე-იტირე,
„მერანის“ ჩაძირულ გემიდან
თითო-ოროლაღა ტივტივებს.

გაქრა მწყალობელი მეოცე,
მხოლოდ – თითზე გვიან კბენანი,
ძველი სახელიღა შემორჩა,
ერთ დროს მოჭიხვინე „მერანის“.

იქნებ ვისი გადაუხდელი
სიყვარულის ვალიც მემართა,
შევხვდე აგიაშვილს „მერანში“,
გრიშა ჯულუხიძეს – „მერანთან“.

კართან ავტორების ცვენაა,
კარლო დირექტორობს – „ბოსია“,
რა ვქნათ, ვინც შედის და გამოდის
ზოგი „მტკნარი გენიოსია“.

ჩაჭკნა კაბინეტში „ალოე“,
წლები – დაუსტამბავ წიგნებად,
ახალსაც რომ მოაკალოვებს,
ნეტავი, მერე რა იქნება.

ვდგავარ მივიწყებულ ნაპირთან,
იქნებ შემობრუნდეს ბორანი –
შევხვდე უკვდავების პატიმარს
იღლიაში „დათას“ რომანით.

იქნებ...
„მარკეტებმა“ გარეკეს,
ვეღარც თავისთავი უცვნიათ,
კახპა ვიტრინების მანეკენს
„შანელს“ „ვალენტინით“ უცვლიან.

წარსულს დიდი ჯვარი დაუსვა,
დაანაკუწა და შეღობა,
ცოხნის თავისივე ნამუსრევს
პირქვე დასამხობი ეპოქა.

აქეთ წაქცეული „მერანი“,
იქით – ჭრელა-ჭრულა ქარები,
პროსპექტს შესეული მკბენარი –
ჯანყი ამორძალი ქალების...

ყველგან დამპყრობელი, ჩალიჩა,
ეძებ, თვალს რომ გადაეფარა,
ნეტავ, ჯადოსნურმა ხალიჩამ
საით გაიტაცა ქვეყანა.

## ნიქოზთან

**სოსო ლაცაბიძეს**

ზამთრის დღეები დაბლა დაქანდნენ,
მკერდგაღეღილი მიწის ყივილზე,
ვიცი, ნიქოზში, ახლა ტაძართან
მარტის ფერმკრთალი ია იღვიძებს.

გარეთ ფერდობი მწვანედ მოხატეს,
აქ კი კედლები მექცა გალიად.
საწოლის ტყვე ვარ,
როცა ოთახის
ყვავილსაც გარეთ მიუხარია.

სადაც თოვლის მატყლს ქარები წეწდნენ,
ნაკადულები იწყებენ ტიტინს,
შინდები თითზე ნიშნობის ბეჭდით –
თავს იწონებენ პირველი კვირტით.

როგორ აკადრეს ლიახვს აღვირი,
მთიდან მოწყვეტილს,
ლაღს და უბელოს,
ისევ მწუხარე და გადაღლილი
მოსდევ ხეობას შავო ღრუბელო?!

აღარ შუშდება, ჩემო კეთილო,
ის ჭრილობები და ნაბზარები?
ან სამრეკლოზე ჩამორეკილი
თუ აღვიძებენ იმედს ზარები!

ზუზუნებს ფიქრი – ფუტკრის ნაყარი,
ვიდრე მათრობელ მზესთან სწორფეროზ,
რას მეტყვი, ანდა რით გამახარებ
მარტო, აპრილის მახარობელო!

## პატარძეული

**ბესო ღვინაშვილს,**
**ავთანდილ გელუკაშვილს,**
**არჩილ ჯაბადარს**

ხსნა და იმედი აქეთ მეგულვის,
ხელახლა უნდა მიცნოთ და მიძმოთ,
დავხედავ კახეთს,
მონატრებული
სამშობლოს მაჯისცემა რომ ვიგრძნო.

ოთხივ კუთხივ,
ყველგან ის არი,
მახარებელი მტრედით უბეში,
გამოფრენილი, როგორც ისარი
საუკუნიდან საუკუნეში.

ხელს კვლავ უტაცებს ,,მუზას“ აღვირზე,
ჩვენთვის მლოცველი და ჩამუხლული,
ვიდრე იორზე ხოხობს აღვიძებს
პატარძლეუელელ ლომის ბუხუნი.

## კაცი

**გ.ჭ.**

კაცი, რომელიც კიბეზე იჯდა
და ადრიანად თუთუნს ახვევდა,
ვინც ასანთის ღერს უმყუდროვებდა
რომ არ ჩაექრო
თითებშორის შემომძვრალ ნიავს,
ახლა უტყვი და პირმოკუმული
სამარის ღია „კარისკენ“ მიაქვთ...

ჰო, ორი დღის წინ ჩაფიქრებული,
პეშვით ქაღალდში თუთუნს ახვევდა,
ვისაც სულ მალე მიწა მიიღებს,
როგორც სიცოცხლის ჩამქრალ ნაღვერდალს.

აი, ეს კაცი,
აი, ამ კაცმა
თუთუნით ლამის ცა რომ გაბოლა,
ბოლს მოჭუტული თვალი კი არა
უეცრად სულიც თან გააყოლა...

ისე, სიტყვაც რომ ვერ დაიბარა –
უკანასკნელად ზეცას გახედა –
იჯდა თავისთვის,
ვის რას უშლიდა
კაცი, რომელიც თუთუნს ახვევდა!...

## ქალაქი

აჰა, ბაბილონი,
ენათა დომხალი,
ნგრევა და, შფოთი და, აკლება,
ძაღლების ქალაქი,
კატების ქალაქი,
ადამიანების – ნაკლებად...

ვინ მოვა,
ვინ გეტყვის
რად ხდება,
რაც ხდება,
დამდგარი წყალივით მყაყდება,
მაღალი მდაბლდება,
დაბალი – მაღლდება,
ტვინები კვერცხივით ლაყდება.

გაბრმავებს თვალებში შეყრილი ნაცარი,
თითს გიქნევს ნაცვალის ნაცვალი,
ხეირი რა ნახე,
იღბალი გაწვალებს,
ბორკილი ბორკილში გაცვალე.

მაისის ვარდი და წითელი მიხაკი,
კვლავ ცეცხლის ფასად რომ საღდება,
ჩაჭკნება,
ჩაქრება,
ასე რომ გიყვარდა,
სანაგვის არჩივი გახდება...

აჰა, ბაბილონი –
ცხოვრება მოღავდა,
სიცოცხლეს სინათლე აკლდება –
ძაღლების ქალაქი,
კატების ქალაქი,
ადამიანების – ნაკლებად...

## მწუხარე ექსპრომტი

**თემურ ჩალაბაშვილს**
**თემურ შავლაძეს**

კარგი აბა რაღა გვეყურება,
შემინდე, გამჩენო,
გემდურები,
როგორც აქშეული ბეღურები
გაფრინდნენ სულები ,,თემურების“.
სიკვდილო, ამაოდ მორიელობ,
ხსოვნა ლექსისა და ღვთის მონისა
ცოცხლობს, ვიდრე ფეთქავს ღონიერი
მაჯა სიცხიანი სტრიქონისა.

✓✓✓

## ისრაელის საელჩო ილია ნოზაძის ოჯახს სამძიმარს უცხადებს

**ისრაელის საელჩო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს საქართველოს მოქალაქის ილია ნოზაძის ოჯახს, რომელიც ისრაელში ნათესავების მოსანახულებლად ჩავიდა და 1 ოქტომბერს ტერაქტის დროს ტრაგიკულად დაიღუპა, – წერს საქართველოში ისრაელის საელჩო სოციალურ ქსელში.**




„ტერორიზმი არავის ინდობს, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა თუ ასაკისა. ამ საზარელ მოვლენას, როდესაც პალესტინელმა ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს მოქალაქეებს ისრაელის ცენტრში, თელ-ავივში, შვიდი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა, ცხრა კი დაშავდა. მსოფლიო უნდა გაერთიანდეს ტერორიზმთან და მის წამყვან მხარდამჭერ – თეირანის რეჟიმთან ბრძოლაში“, – წერს საელჩო სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის, თელ ავივში, იაფას რაიონში სროლის დროს დაჭრილი საქართველოს მოქალაქე კლინიკაში გარდაიცვალა.

მომხდარის შედეგად დაიღუპა რვა ადამიანი, რამდენიმე დაშავებულია. თავდასხმის შემსრულებელი ორი ტერორისტი განეიტრალებულია.

## ისრაელმა გაეროს გენმდივანი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

**ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა, – ინფორმაციას ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ისრაელ კაცი აქვეყნებს.**



ისრაელის საგარეო უწყებამ ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გუტერეშმა ვერ შეძლო, ისრაელზე ირანის მასირებული შეტევა ერთმნიშვნელოვნად დაეგმო.

გაეროს გენმდივანს ისრაელში შესვლაც აეკრძალა.

„ვისაც არ შეუძლია, ცალსახად დაგმოს ირანის ამაზრზენი თავდასხმა ისრაელზე, როგორც ამას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აკეთებს, ის არ იმსახურებს ფეხის გადადგმას ისრაელის მიწაზე. ეს არის გენერალური მდივანი, რომელსაც ჯერ არ დაუგმია „ჰამასის“ მკვლელების მიერ ჩადენილი ხოცვა-ჟლეტა და სექსუალური სისასტიკე“, – წერს კაცი სოციალურ ქსელში.

მისი თქმით, გუტერეშის მოღვაწეობა გაეროს ისტორიაში შავ ლაქად დარჩება.

## ირანი აშშ-ს აფრთხილებს...

**ჩვენ არ მიგვიწოდებია ინფორმაცია აშშ-სთვის თავდასხმამდე, მაგრამ ჩვენ ვაფრთხილებთ ახლა, რომ საპასუხო ქმედებებში არ ჩაერიონ, – ამის შესახებ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბას არაღჩიმ განაცხადა.**

„თავდასხმამდე ინფორმაციის გაცვლა არ მომხდარა, ირანი აშშ-ს თავდასხმის შემდეგ დაუკავშირდა. ჩვენ გავაფრთხილეთ აშშ-ის ძალები, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიონ“, – განაცხადა არაღჩიმ.

ცნობისთვის, ირანმა ისრაელზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელა. ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ განცხადებით, ისრაელის მიმართულებით ათობით რაკეტა გაუშვეს. ისრაელის




თავდაცვის ძალების პირველადი შეფასებით კი, ირანმა ისრაელის მიმართულებით 200-მდე რაკეტა გაუშვა.

## ისრაელის შემდეგი სამიზნე თურქეთი იქნება!

**მისი თქმით, ისრაელის სამხედრო ოპერაციები პალესტინის ტერიტორიებსა და ლიბანში, შესაძლოა, მალე თურქეთზეც გავრცელდეს.**

„ლიბანის შემდეგ, ადგილი, რომელსაც ისრაელი თვალს დაადგამს, გეუბნებით პირდაპირ, იქნება ჩვენი სამშობლო. რა ფასიც არ უნდა დაგვიჯდეს, თურქეთი გააგრძელებს ისრაელის წინააღმდეგ დგომას და მოუწოდებს მსოფლიოს, დაიკავოს ეს ღირსეული პოზიცია“, – განაცხადა ერდოღანმა.



თურქეთის პრეზიდენტმა გააკრიტიკა ისინი, რომლებიც მზარდ დაძაბულობაში ანკარას ნეიტრალიტეტისკენ მოუწოდებენ.

„ჩვენ ვდგავართ ოკუპაციის ქსელის წინაშე, რომელსაც მთელი რეგიონის ცეცხლში გახვევა სურს. ვისაც სინდისის ნატამალი მაინც აქვს, ვერ შეძლებს დუმილს ასეთი ხოცვა-ჟლეტის დროს. ისევე, როგორც ჰიტლერი შეაჩერეს, ნეთანიაჰუც იმავე გზით შეჩერდება“, – განაცხადა ერდოღანმა.

# ფინეთის მილიტარიზაცია რუსეთს არ მოსწონს!



**ნატოში გაწევრების შემდეგ ფინეთი ჩქარი ტემპით აძლიერებს თავის სამხედრო პოტენციალს. მოგეხსენებათ, უკრაინის ომის კვალდაკვალ, ორმა ჩრდილო-ევროპულმა ქვეყანამ, შვედეთმა და ფინეთმა, ნეიტრალიტეტზე უარი თქვა და ნატოში გაწევრდნენ.**

ფინეთს, ისტორიულად, რუსეთთან მძიმე ურთიერთობა აკავშირებს. მე-19 საუკუნეში ის მთლიანად მიითვისა რუსეთის იმპერიამ. 1917 წელს, როცა რუსეთის იმპერია შეირყა, ფინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაშინ ფინეთში კარგა გვარიანად ჰქონდა ფეხი მოკიდებული კომუნისტურ მოძრაობას. ფინელ კომუნისტებს რუსეთთან შეერთება სურდათ, რამაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი გამოიწვია. ომი ფინეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვებით დამთავრდა.

1939 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით ფინეთი საბჭოეთის ინტერესების სფეროში შევიდა, რასაც ფინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის შეჭრა და ზამთრის ომი მოჰყვა. არაერთი წარმატებული თავდაცვითი ბრძოლის მიუხედავად, ფინეთმა ტერიტორიები დაკარგა, თუმცა, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ომი 1940 წლის 13 მარტს მოსკოვთან სამშვიდობო ხელშეკრულებით დამთავრდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა კავშირისგან დაცული რომ ყოფილიყო, ფინეთი ნაცისტურ გერმანიას დაუახლოვდა. გერმანიის დამარცხებით, ფინეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სტალინი ფინეთის დასჯასა და ანექსიას ითხოვდა. ანექსიის თავიდან ასაცილებლად, ფინეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

**ამ მოვლენას ისტორიამ ფინლანდიზაცია უწოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერი სახელმწიფო მასზე სუსტ მეზობელ სახელმწიფოს აიძულებს, საერთაშორისო ურთიერთობებში მის წესებს დათანხმდეს. ნაცვლად კი, დამოუკიდებლობისა და საკუთარი პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას ჰპირდება.**

ხელშეკრულება ფინეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი აღმოჩნდა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთი ფინეთის ევროკავშირში გაწევრებაზე დათანხმდა. 2008 წლიდან, როცა რუსეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობამ იჩინა თავი, ფინეთი, ნორვეგიის დახმარებით, ნატოს დაუახლოვდა.

უკრაინაში რუსეთის აგრესიამ თავის ნეიტრალურ სტატუსზე ფინეთს აზრი შეუცვალა და 2023 წელს ნატოში გაწევრდა. შედეგად, ნატო-რუსეთის საზღვარი 1300 კილომეტრით გაიზარდა, ანუ გაორმაგდა. ამ ერთი წლის განმავლობაში, ფინეთი ნატოს შიგნით შესამჩნევად გააქტიურდა. ფინეთის ტერიტორიაზე, უკვე, ორჯერ ჩატარდა ნატოს სამხედრო ძალების წვრთნები. ახლა კი, ფინეთმა და ნატომ ფინეთში ორი სამხედრო ბაზის გახსნა გადაწყვიტა. ერთი, ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში, ქალაქ მიკელის მახლობლად, რუსეთ-ფინეთის საზღვრთან ახლოს განთავსდება, სადაც ხუთი ათასკაციანი სატანკო ბრიგადა გამაგრდება. მეორე სამხედრო ბაზა ქვეყნის ჩრდილოეთში, ლაპლანდიაში განლაგდება. ეს ბაზა ნორვეგიასა და შვედეთში, სხვა ბაზებთან ერთად, ნატოს პოზიციებს განამტკიცებს. შეგახსენებთ, რომ XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთმა არქტიკის მილიტარიზაცია დაიწყო. რეგიონი, გლობალური დათბობის შედეგად, თანდათან, რესურსებისა და გავლენის მოპოვების მიზნით, ახალი დაპირისპირების სივრცედ გადაიქცა. პოლარული ყინულის დნობამ ეს გეოგრაფიულად გარიყული რეგიონი გაცილებით ხელმისაწვდომი გახადა. ჩინეთმა და რუსეთმა მანამდე მიუწვდომელი ენერგორესურსებისა და პოტენციური სატრანსპორტო გზების ათვისება დაისახეს მიზნად.

ეკონომიკური და საბრძოლო მიზნებისთვის, რუსეთმა უკვე დაიწყო არქტიკის ტერიტორიის აქტიურად ათვისება. ამის საპასუხოდ დასავლეთმა და, კერძოდ, ნატომ ჩრდილოეთით თავისი ფლანგების გაძლიერებას მიჰყო ხელი. ცხადია, რუსეთს აფიქრებს ფინეთის მილიტარიზაცია, რაც მის მწვავე რეაქციაში გამოიხატა. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამიერიდან რუსეთი ფინეთს განიხილავს, როგორც მოწინააღმდეგეს და მის მილიტარიზაციას შესაბამისად უპასუხებს.

პუტინმა თქვა, არ გაგიკვირდეთ, ფინეთის საზღვართან ბალისტიკური რაკეტები რომ განვათავსოთო. და აი, რამდენიმე დღის წინ, მისი განკარგულებით, რუსეთის სამხედრო ძალთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა. საბოლოო მიზანი რუსეთის არმიის 180-ათასი კაცით გაზრდაა. ამგვარად, რუსული ჯარის მთლიანი კონტინგენტი ორი მილიონ ოთხასი ათასს მიაღწევს. რუსეთის პრეზიდენტის სპიკერის დიმიტრი პესკოვის თქმით, კონტინგენტის ასეთი ზრდა რუსეთ-დასავლეთის საზღვრებზე დაპირისპირების გამძაფრებითაა გამოწვეული.

# ბაქოსთან მეგობრული ურთიერთობით ყველა დაინტერესდა!

**საუბარი იმის შესახებ, რომ აქამდე ერთპოლუსიანი მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება, უკვე ბანალურად ითვლება, მაგრამ დღის წესრიგიდან მაინც არ ვარდება. უკრაინის ომმა ისე შეცვალა მსოფლიო წესრიგი, რომ ზოგიერთ ქვეყანას სუვერენიტეტის დაკარგვითაც კი დაემუქრა. ბევრმა, შედარებით სუსტმა ქვეყანამ საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად მრავალ ვექტორულ პოლიტიკას მიმართა. არც ჩვენი რეგიონია გამონაკლისი, რომელიც მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული, ორ გეოპოლიტიკურ ვექტორად იყო გაყოფილი: საქართველო და აზერბაიჯანი დასავლეთს დაუახლოვდა და სომხეთი რუსეთს ჩაეხუტა.**

**ახლა სურათი შეიცვალა. ყარაბაღის დაკარგვის გამო რუსეთზე განაწყენებული სომხეთი დასავლეთთან ეძიებს სიახლოვეს.**

რაც შეეხება საქართველოს, ის განაგრძობს ევროპასთან ინტეგრირების პოლიტიკას. ამავე დროს ჩინეთთანაც კარგი ურთიერთობა დაამყარა. ჩინეთს ამიერკავკასიის რეგიონი აინტერესებს, როგორც თავისუფალი სატრანსპორტო დერეფანი. აზერბაიჯანმაც, თავის მხრივ, მრავალ-ვექტორული პოლიტიკა აირჩია: მჭიდრო ურთიერთობა აქვს თურქეთთან და კარგი ურთიერთობა რუსეთთან, ჩინეთთან და ყაზახეთთან.

ბაქოსთან მეგობრული ურთიერთობით ყველა დაინტერესებულია. აი, ასეთ ფონზე შედგა რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ბაქოში. ბევრს გაუკვირდა პუტინის სტუმრობა, რადგან, პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთის ლიდერი იშვიათად დადის სხვა ქვეყნებში. ვიზიტი ორდღიანი იყო, რითაც ხაზი გაესვა იმას, რომ ალიევთან პუტინს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს.

მასპინძელი ხაზგასმული პატივით დახვდა სტუმარს. რუსეთის პრეზიდენტს დიდი ამალა ახლდა. აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერებმა მრავალი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს. ალიევმა განაცხადა, ახალი ვითარება სამხრეთ კავკასიაში მყარი და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების ახალ შესაძლებლობას გვაძლევს და სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა და უსაფრთხოება დიდწილად რუსეთისა და აზერბაიჯანის მჭიდრო ურთიერთობაზეა დამოკიდებულიო. მან, ასევე, დასძინა, რომ აზერბაიჯანი არასდროს არ შეუერთდება ანტირუსული სანქციების კამპანიას. მოგვიანებით, გაირკვა თუ რა იყო პუტინის ვიზიტის მთავარი მიზეზები.

**პირველი: გაზის ტრანსპორტირებისა და ირანთან სატრანსპორტო დერეფნის საკითხი. რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და დასავლეთის სანქციების დაწესების შემდეგ მოსკოვმა ევროპის ქვეყნებში გაზის ექსპორტი შეწყვიტა. სანაცვლოდ, აზერბაიჯანმა ევროკავშირთან შეთანხმებას მოაწერა ხელი და რუსული გაზის გარეშე დარჩენილ ევროპულ ქვეყნებში გაზის ექსპორტის გაზრდას დათანხმდა.**

**მეორე: რუსეთი ირანთან სატრანსპორტო დერეფნის გამართული მუშაობითაა დაინტერესებული. სანქციების გამო, რუსეთი ახალ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ამყარებს გლობალურ სამხრეთთან. ის ალტერნატიულ სავაჭრო-სატრანსპორტო გზებს ეძებს. ერთ-ერთია აზერბაიჯანის დერეფანი, რომელიც უმნიშვნელოვანესია რუსეთისთვის, რადგან მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ირანთან. მოკლედ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი რეგიონი მსოფლიო სავაჭრო სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

## ოვალური ბურთი

# ბექას ტური

**საქართველოს ნაკრებისა და პოს მორაგბე ბექა გორგაძე TOP 14-ის მე-4 ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გორგაძეს გამორჩეული მატჩი ჰქონდა სტად ფრანსესთან, რომელიც მისმა გუნდმა 30:16 მოიგო.**

ქართველმა მესამეხაზელმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, ლელო დადო და 10 ბოჭვის განხორციელება მოახერხა.

გორგაძე აღნიშნული თამაშის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს, მოგვიანებით პერპინიანის პირველხაზელ გიორგი ბერიასთან (მას საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს) ერთად სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, საბოლოოდ კი, ტურის MVP-ს ტიტულიც ერგო.

ქართველი ლეგიონერის კლუბს ოთხ ტურში 2 მოგება აქვს და 10 ქულით სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილი უკავია. პო მომდევნო მატჩს 5 ოქტომბერს სტუმრად სწორედ ხსენებულ პერპინიანთან ჩაატარებს.ამასობაში უმცროსი ბორჯღალოსნები 2024 წლის 18-წლამდელთა რაგბი – ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგნენ, რომელსაც ნოემბრის შუა რიცხვებში ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა უმასპინძლებს




კონტინენტის 5-გზის ჩემპიონი საქართველო ტიტულის დაცვას მეოთხედფინალური შეხვედრით 16 ნოემბერს იწყებს, ნახევარფინალები 19 ნოემბერსაა დანიშნული, ხოლო ტრიუმფატორი გიორგობა დღეს – 23 ნოემბერს გამოვლინდება.

მოსამზადებელი პერიოდი 5 ეტაპად გაიმართება და მათგან პირველი გაფართოებული 40-კაციანი შემადგენლობით მარტყოფის ბაზაზე უკვე მიმდინარეობს 22 მორკინალისა და ხაზის 18 მოთამაშის მონაწილეობით, რომელთაგანაც სატურნირო 26 უნდა შეირჩეს.

წელს აღნიშნული ასაკის გუნდი განსაკუთრებულ სეზონს ატარებს – **ზურაბ ამონაშვილის** შეგირდებმა გაზაფხულზე თანატოლთა შორის ექვსი ერის ფესტივალზე, ხოლო ზაფხულში სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სერიაზე იასპარეზეს, ახლა კი მესამე გამოცდის ჩასაბარებლად მიემგზავრებიან.

დავძენთ, რომ აფრიკული განაცხადიდან ნაკრებში 12 წევრი დარჩა – 8 შერკინებიდან და 4 ხაზიდან, თანაც არცერთი ლეგიონერი არაა გამოძახებული.

## ოკეანის გაღმა

# მოედანს უბრუნდება

**College Hoops Top 50-მა NCAA-ს მომავალი სეზონის წინ სან ფრანცისკო დონსის შანსები მიმოიხილა და ტანმაღალ ქართველ ცენტრ საბა გიგიბერიაზეც (2.16 მ.) დაწერა. ქართველ კალათბურთელს გასული სეზონი ტრავმის გამო გაუცდა, ამდენად, კოლეჯების ლიგაში დამკვიდრებისთვის ბრძოლა თავიდან მოუწევს.**

**„დონსში იმედი აქვთ, რომ მომავალ სეზონში გუნდი დახმარებას მიიღებს საბა გიგიბერიასგან, რომელსაც ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა. ჯორჯია ტექის ყოფილ კალათბურთელს სან ფრანცისკოელთა მაისურით საკმაოდ კარგი დებიუტი ჰქონდა და 12 მატჩში სასტარტო ხუთეულშიც კი გამოჩნდა, ახლა კი, უკვე სენიორის რანგში ითამაშებს. დონსის მწვრთნელი კრის გერლუფსენი ეცდება გიგიბერიასგან სარგებელი ნახოს. საბა საკმაოდ მობილურია მოედნის ორივე მხარეს, მინუსი კი ის აქვს, რომ პერსონალურ ფოლებს ხშირად და მოკლე დროში იღებს. კარგი იქნება, თუკი ის მოედანზე მეტ კონცენტრაციას გამოიჩენს. თუკი გიგიბერიამ სამწამიან ზონაში სასურველ დონეზე ითამაშა, დონსს შანსი ექნება ფარზე ბრძოლისას თავი კონკურენტუნარიანად იგრძნოს“.**



გიგიბერია დონსში 2022 წლის მაისში ჩაირიცხა, მანამდე კი 2 სეზონი ჯორჯია ტექში გაატარა, სადაც მცირე სათამაშო დრო ჰქონდა. 2022-23 წლების სეზონში საბამ 31 მატჩი ჩაატარა, მისი საშუალო მაჩვენებლები კი ასეთი გახლდათ: 9.8 წუთი, 4.3 ქულა, 3.3 მოხსნა.

## გამოჩნდა?




# კომის შემდეგ

**როგორც ვარაუდობენ, ფორმულა 1-ის ლეგენდარული პილოტი მიხაელ შუმახერი საყვარელ ქალიშვილ ჯინასა და თხილამურებით ტრამპლინიდან ცნობილი მხტომელის იან ბეტკეს ქორწილს ესწრებოდა, რომლებიც ერთმანეთს 2017 წლიდან ხვდებიან.**

საზეიმო ცერემონია მალიორკაზე შუმახერების ოჯახურ ვილაში გაიმართა 100 სტუმრის მონაწილეობით და იგი გასაიდუმლოებული გახლდათ, კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად კი მათ ტელეფონები ჩამოართვეს, რათა ფოტოები არ გადაეღოთ.

## საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის უახლოესი ორი მატჩისთვის მზადებას იწყებს. ვილი სანიოლმა გუშინ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც ერთი დებიუტანტია.**

ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახეს **გიორგი გულიაშვილი,** რომელიც კარგ კონდიციებშია და ბოსნიის ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირია. საქართველოს ნაკრები მოახლოებული მატჩებისთვის მზადებას 7 ოქტომბერს, პოლონეთში დაიწყებს, ხოლო მისი შემადგენლობა შემდეგნაირია:

**მეკარეები:** გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), გიორგი ლორია (ომონია არადიპუ, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი (პანსერაიკოსი, საბერძნეთი).

მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), სოლომონ კვირკველია (დინამო თბილისი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი (კოპენჰაგენი, დანია), ლევან შენგელია (ოფი კრეტა, საბერძნეთი), საბა გოგლიჩიძე (ემპოლი, იტალია).

**ნახევარმცველები:** ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), შოთა ნონიკაშვილი (ჩერკასი, უკრაინა), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), გიორგი წიტაიშვილი (გრანადა, ესპანეთი), ზურიკო დავითაშვილი (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია)

**თავდამსხმელები:** გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია და ჰერცეგოვინა), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი მიქაუტაძე (ლიონი, საფრანგეთი)

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ორი ტურის შემდეგ ერთა ლიგის II დივიზიონის პირველ ჯგუფს უდანაკარგოდ, 6 ქულით ლიდერობს. ვილი სანიოლის გუნდმა სექტემბერში ჩეხეთი (4:1) და ალბანეთი (1:0) დაამარცხა, ხოლო მომდევნო ორ მატჩს 11 ოქტომბერს, პოზნანში, უკრაინასთან და 14 ოქტომბერს, თბილისში, ალბანეთთან გამართავს.

* * *

**„ემპოლის“ მცველი საბა გოგლიჩიძე ვებ-გვერდ Sofascore-ს ვერსიით ტოპლიგების სექტემბრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ოღონდ 21-წლამდელ ფეხბურთელებს შორის.**

საბამ „ემპოლის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად მოიკიდა და ბოლო ოთხი მატჩი შეუცვლელად, თანაც მაღალ დონეზე ჩაატარა. კონკრეტულად სექტემბერში გოგლიჩიძემ სერია ა-ში სამჯერ ითამაშა „იუვენტუსის“, „კალიარის“ და „ფიორენტინას“ წინააღმდეგ, მის გუნდს კი ამ მატჩებში გოლი არ გაუშვია.

აღნიშნულ სიმბოლურში ისეთი ფეხბურთელები მოხვდნენ, როგორებიც ჯუდ ბელინგემი, ლამინ იამალი, ნიკო პასი, ფლორიან ვირტცი და ხავი სიმონსი არიან.

აქვე გეტყვით, რომ „ემპოლი“ უახლოეს შეხვედრას რომში „ლაციოს“ წინააღმდეგ გამართავს.




* * *

**მაიამის „ინტერმა“ ამერიკული MLS-ის რეგულარულ სეზონში ნაადრევი გამარჯვება მოიპოვა „კოლუმბუს ქრიუს“ დამარცხებით ანგარიშით 3:2. ამ შედეგმა გუნდს მხარდამჭერთა ფარის თასი (Supporters’ Shield) მოაგებინა.**

შეგახსენებთ, რომ მაიამის „ინტერმა“ რეგულარული სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე 68 ქულა დააგროვა, აღმოსავლეთ კონფერენციას ლიდერობს და უახლოეს მეტოქეს 11 ქულით უსწრებს.

ახლა მაიამელებს მოუწევთ ბრძოლა MLS-ის თასისთვის, რომელიც ფლეი ოფის გამარჯვებულს ენიჭება. მასში 18 გუნდი მონაწილეობს – ცხრა თითოეული კონფერენციიდან.

დავამატებთ, რომ მხარდამჭერთა ფარის თასი იძლევა კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგის საგზურს. სხვათა შორის, ერთი წლის წინათ მესისთან ერთად გუნდი MLS-ის ფლეი ოფშიც ვერ გავიდა.

* * *

**დიდი ფეხბურთი კიდევ ერთი დასრულებული კარიერით დაობლდა – 39 წლის ანდრეს ინიესტა უკვე ექს-მოთამაშეა.**

ბარსელონასა და ესპანეთის ნაკრების მეგავარსკვლავი კატალონიური გრანდის სისტემას 1996-2018 წლებში აბრწყინებდა და ამ პერიოდში მისი მაისურით ჩატარებულ 674 მატჩში 57 გატანილ ბურთს 136 საგოლე პასი დაუმატა, ხოლო შემდეგ იაპონურ ვისელ კობეში გადასვლა 134 შეხვედრაში შესრულებული 26 ზუსტი დარტყმითა და 25 ასისტით აღნიშნა.

შთამბეჭდავია ფილიგრანული ოსტატობით დაჯილდოებული ნახევარმცველის მოხვეჭილ ტიტულთა ნუსხაც: 9-ჯერ ესპანეთის ლა ლიგა, 6-ჯერ სამეფო თასი, 5-ჯერ სუპერთასი, 4-ჯერ ჩემპიონთა ლიგა, 2-ჯერ უეფას სუპერთასი და 3-ჯერ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ხოლო ამომავალი მზის ქვეყანაში – თითოჯერ ჩემპიონატის ოქრო, თასი და სუპერთასი.

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, მის რიგებში ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოსა და 2-გზის ევროპის ჩემპიონი გახდა.

ზემოთ ინიესტას ჩემპიონთა ლიგაში 4-გზის ტრიუმფატორობას გავუსვით ხაზი და ამჯერად ყველაზე პრესტიჟული, თანაც რეფორმირებული ევროტურნირის მეორე ტურსაც შევეხოთ, რომელიც უპრეცედენტო ფაქტით აღინიშნა.

დიახ, ძნელია გაიხსენოს კაცმა, უკანასკნელად ერთდროულად მშრალი ანგარიშით როდის დამარცხდნენ რეალი და ბაიერნი, არადა გუშინწინ სწორედ ასე მოხდა – სამეფო კლუბი საფრანგეთში ლილთან, ხოლო რეკორდმაისტერი ფეხბურთის სამშობლოში ბირმინგემის ასტონ ვილასთან შერცხვნენ ერთნაირი შედეგით – 0:1. მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ატლეტიკოს განადგურება ლისაბონში ბენფიკასთან – 0:4, რაც გარკვეულწილად რამდენიმე დღის წინათ დიეგო სიმეონეს შეგირდთა მიერ მადრიდულ დერბიში მოსისხლე რეალთან გადატანილი მძაფრი ბრძოლის გამოძახილია, კაცნაკლულმა იუვენტუსმა კი გერმანიაში ლაიფციგს დაუტრიალა ჩარხი – 1:2-ის შემდეგ 3:2.

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერთა კლუბებს, სამივემ წააგო: სლოვანი (**გურამ კაშია**) – სიტი 0:4, შტურმი (**ოთარ კიტეიშვილის** კაპიტნობით) – ბრიუგე 0:1, შახტარი (**ირაკლი აზაროვს** არ უთამაშია) – ატალანტა 0:3.

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თავისი წესდების II თავის მე-9 მუხლის თ პუნქტის და გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულების შესაბამისად, აცხადებს კონკურსს აგრარულ სფეროში სახელობითი პრემიების მისანიჭებლად**

1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება – აკადემიკოს **მიხეილ საბაშვილის** სახელობის – 1 პრემია;
2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება – აკადემიკოს **მიხეილ რჩეულიშვილის** სახელობის – 1 პრემია;
3. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება – აკადემიკოს **ალექსანდრე დიდებულიძის** სახელობის – 1 პრემია;
4. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება – აკადემიკოს **ვასილ გულისაშვილის** სახელობის – 1 პრემია;
5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის **ანდრო ნიჟარაძის** სახელობის – 1 პრემია;
6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პეტრე ჟღენტის სახელობის – 1 პრემია.

* * *

**პრემიის** მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები, ამასთან გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებში მითითებული სამუშაოები წარმოდგენამდე ერთი წლით ადრე აპრობირებული უნდა იყოს წარმოებაში;

პრემიაზე წარმოდგენილ ავტორთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სხვა ქვეყნის მოქალაქეები, თუ მათ სამუშაო შეასრულეს ქართველ კოლეგებთან ერთად;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1.1. წარმომდგენი ორგანიზაციის სატიტულო ფურცელზე დაბეჭდილი წარდგინება, რომელშიც აღინიშნება ნაშრომის დასახელება, ავტორთა გვარი და სახელი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

1.2. წარდგინება უნდა მოიცავდეს: ნაშრომის მოკლე შინაარსს, ნაშრომის წარდგენის დასაბუთებას, ნაშრომის ზოგად შეფასებას;

1.3. პრაქტიკული ხასიათის ნაშრომისათვის წარდგინებაში ასევე უნდა აღინიშნოს გამოყენების ადგილი, მასშტაბები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

1.4. წარდგინებას ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი. თუ ხელმძღვანელი თვითონაა ავტორთა ჯგუფში, წერილს შეიძლება ხელი მოაწეროს მისმა მოადგილემ;

1.5. თუ ნაშრომს წარადგენს რამდენიმე ორგანიზაცია, წარდგინებას ხელს აწერს ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

1.6. ამონაწერი წარმომდგენი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს (კრება, კოლეგია, პრეზიდიუმი, საბჭო) სხდომის ოქმიდან, პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის დასახელების, ავტორთა გვარების და სახელების მითითებით დამოწმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბეჭდით;

1.7. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთ) გვერდს. პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის ანოტაციაში საჭიროა აღინიშნოს სად, როდის, რა მასშტაბით არის რეალიზებული სამუშაოს შედეგები და როგორია მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ანოტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა ავტორის მიერ;

1.8. ნაშრომის რეცენზენტის/რეცენზენტების დასკვნა დამოწმებული უნდა იქნეს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, საიდანაც არის წარმოდგენილი ნაშრომი;

1.9. ცნობა ავტორთა მონაცემების შესახებ (CV), ცნობა სამუშაო ადგილიდან და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი, ფოტოსურათი ზომით 3X4.

1.10. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად.

1.11. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად შემდეგი სახით:
- ფუნდამენტური ნაშრომი (მონოგრაფია, წიგნი);
- გამოყენებითი ხასიათის ნაშრომი (სამუშაოთა აღწერა, თანდართული შეფასებებით, დასკვნებით, საავტორო მოწმობებისა და პატენტების ასლებით);
- სახელმძღვანელო;

1.12. ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

ნაშრომს შეიძლება დაერთოს ფოტოსურათების ალბომი, სქემები, რუკები და სხვა. სასურველია, რომ დამატებითი მასალის ფორმატი იყოს ისეთივე, როგორც ნაშრომის ფორმატია.

**საკონკურსო მასალები მიიღება აკადემიის კანცელარიაში 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველი სამუშაო დღის 11 საათიდან 17 საათამდე.**

**შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტ. 593 58 01 37**

**აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარველაშვილი**

# მისტიკა ქართული ანბანისა

**პროექტის ფარგლებში, ჟვანიას სკოლის სოციალური მედიის მეშვეობით, საზოგადოება შეიტყობს თითოეული ასოს შექმნისა და განვითარების ისტორიას – მასთან დაკავშირებულ მითოსსა და სიმბოლიკას; ტიპოგრაფიის ჩამოყალიბების საფეხურებსა და საიდუმლოებებს.**

**კონცეფციის/იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია თამარ (თათული) ღვინიანიძე; კვლევისა და ტექსტების ავტორია თამარ ფაცურია; გრაფიკოს-ილუსტრატორი და ვიზუალური კონცეპტის ავტორია ვახტანგ გლუნჩაძე; ხოლო ტექსტების რედაქტირება-კორექტირებაზე იმუშავა თამარ (თათული) ღვინიანიძემ.**

საძიებო სისტემასა და ბეჭდურ სახელმძღვანელოებში ხელმისაწვდომია ქართული დამწერლობის ზოგადი ისტორია, მაგრამ რთულად თუ იპოვით ინფორმაციას თითოეული ასოს შესახებ: როგორ წარმოიშვა? რა უსწრებდა წინ მის ჩამოყალიბებას ან თავად რას დაუდო საფუძველი? რატომ აქვს კონკრეტულად ეს ფორმა და არა – სხვა? ასოს როგორ შეურჩიეს ბგერა? სწორედ ამ კითხვებს პასუხობს პროექტი „ქართული ანბანის 33 ასო“.

მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ქართულ ასოთა მოხაზულობა ყველაზე მეტად ჰგავს ფინიკიურ და მისგან განვითარებულ არამეულ დამწერლობას. მისი წარმოშობის თარიღად ძვ.წ. VII საუკუნე მიიჩნევა.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია წარმართული ხანის ასტრალურ-რელიგიური მრწამსი. ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასოს რკალი მარჯვნივ არის მიბრუნებული. შესაბამისად, „ანი“ ბაბილონური მთვარის ღმერთის (მამრი ღვთაება, რომლის სიმბოლო არის ხარი) გრაფიკული ხატი, მცხრალი (სავსე) მთვარე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ასტრონომიულ ასპექტს, ასომთავრული „ან“-ის ზედა ჰორიზონტალური ხაზი მთვარის ცაზე მოძრაობის ზედა ზღვარია. ასომთავრული „ან“ ასტრონომიულად სავსე მთვარის საშუაღამო კულმინაციაა.




ნუსხურ ანბანში “ა” ასო კუთხოვანი გრაფემით არის გადმოცემული და ასომთავრულის მსგავსად, მარჯვნივ არის მიბრუნებული, ხოლო მხედრულმა ანბანმა ცვლილება განიცადა და “ა” ასოს რკალი მარცხენა მხარეს არის მიმართული. მხედრული “ა” დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში შუა ორ ხაზში თავსდება. ასომთავრულსა და ნუსხა-ხუცურში “ა”-ს რიცხვითი მნიშვნელობა იყო 1 (ერთი).

აღსანიშნავია, რომ ქართული ანბანის სხვა ასოების სახელდებისას, 21 ასოს სწორედ „ან“ მარცვალი დაედო საფუძვლად.

**გუნდის ხელმძღვანელი და კონცეფციის ავტორი თამარ (თათული) ღვინიანიძე „ქართული ანბანის 33 ასოს“ მნიშვნელობას აფასებს და გვიამბობს, როგორ წარმოიშვა აღნიშნული პროექტის განხორციელების იდეა.**

– მოგეხსენებათ, ჟვანიას სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და გავრცელებაა, რადგან იდენტობასთან ერთად, ენა სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასაც აყალიბებს; ვცდილობთ, დასახულ მიზანს შემოქმედებითი გზებით მივაღწიოთ და მისი შესწავლის მოტივაცია ავამაღლოთ საზოგადოებაში. ჟვანიას სკოლის შემოქმედებითი ჯგუფი (PR-ისა და მარკეტინგის დეპარტამენტი) 3 თვის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ პროექტზე. ბოლოს, უნდა ითქვას, რომ პროექტი მრავალშრიანია და განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო მასშტაბურ სახესაც მიიღებს.”

ჟვანიას სკოლის სოციალური მედიის სპეციალისტმა და ახალგაზრდა მკვლევარმა თამარ ფაცურიამ ჩაატარა მეცნიერული კვლევა, რომელსაც ეფუძნება პროექტის ფარგლებში მის მიერ შექმნილი ტექსტები. გამოქვეყნებული პოსტები სრულად ერგება სოციალური ქსელისთვის დამახასიათებელ ენობრივ ქსოვილსა და ციფრულ ნორმებს – მოქნილი, ოპტიმალური ზომის და მარტივად კითხვადია; თუმცაღა, ამასთანავე, შეიცავს საკითხის შესახებ დაგროვებულ მეცნიერულ ცოდნას.

**თამარ ფაცურია:** „საკითხი, რომელსაც ჟვანიას სკოლა შეეხო, არ იყო ღრმად გამოკვლეული; ის ინფორმაციები, რომელიც ჩვენს გვერდზე განთავსდება, საზოგადოებისთვის მეტწილად უცნობია. სწორედ ეს ფაქტები ხდის პროექტს განსაკუთრებულს. ანბანური დამწერლობა სახელმწიფოს შექმნის, არსებობის, სიძლიერის და თვითმყოფადობის უმთავრესი იარაღია. მისი საშუალებით ხდი შენს სამშობლოს ცნობადს საერთაშორისო ასპარეზზე. ქართულ ანბანურ ფენომენში ერთმანეთს ერწყმის აღმოსავლეთი და დასავლეთი. მთავარი კომპონენტი კი, რითაც ქართული ანბანი მართლაც შეუდარებელია, არის ის, რომ სამივე სახეობის დამწერლობა ერთდროულად გამოიყენება. სწორედ ამ მიზეზით ქართული ანბანი იუნესკოს არამატერიალურ ძეგლთა დაცვის სიაშია შეტანილი, როგორც „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“. ეს მოვლენა მსოფლიოში ერთადერთი და განუმეორებელია.

**სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ დაიწყო უპრეცედენტო ციფრული პროექტი — „ქართული ანბანის 33 ასო“, რომლის ანალოგიც საქართველოში არ არსებობს.**




**ჟვანიას სკოლის გრაფიკოს-დიზაინერმა ვახტანგ გლუნჩაძემ** ერთი მხრივ, შექმნა ექსკლუზიური კონცეფცია მთელი პროექტისთვის, რომელმაც საერთო ვიზუალური ნარატივის ქვეშ გააერთიანა პოსტები, მეორე მხრივ, თითოეული ასოსთვის დახატა ინდივიდუალური „ქავერი“ – ყველა მათგანი შექმნილია წყაროებზე დაყრდნობით, სპეციალურად აღნიშნული ასო-ბგერისთვის, მისივე ისტორიის გათვალისწინებით. ვახტანგმა მოიძია მრავალი საუკუნის წინ შექმნილი ქართული ანბანები, იპოვა ტიპოგრაფიული შესატყვისობები და ანალოგები სხვა, უძველეს ხალხთა დამწერლობაში; საბოლოოდ კი, შეგროვებული და მოდიფიცირებული ვიზუალური ინფორმაცია წარმატებით დანერგა პროექტში.

KVIRA.GE

## სულთათანა

ლუიზა და რონ მეტრეველები იუწყებიან ოჯახის ახლობლის, ღირსეული პიროვნების

**რევაზ ნოდარიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## პირნათელი მიეახლა წინაპრებს...

**ვაი,** რა ბოძი წაგვექცაო, ზედგამოჭრილია ონის რაიონის მკვიდრსა და საფიცარი რაჭის დიდ მოჭირნახულეზე **რევაზ ჯიბოს ძე ნოდარიშვილზე,** რომელსაც, როგორც მაღალმთიანი რეგიონის სამაგალითო თავკაცსა და საქართველოს პარლამენტის წევრობისას მისი პრობლემების გადასაჭრელად ხმალამოღებულ მებრძოლს, გუშინ მშობლიური კუთხე მადლიერების გრძნობით გამოეთხოვა.



ღირსეულ მამულიშვილს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა ეროვნულობით გამორჩეულ სამამულო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, ჩვენი გაზეთის რედაქციაში კი ოთარ ხუციშვილის, ელგუჯა ლებანიძისა და გია პლატონიშვილის მუდამ სასურველი სტუმარი გახლდათ. აღარაფერს ვამბობთ მისი ავტორობით გამოქვეყნებულ არაერთ აქტუალურ წერილზე, ძალაუნებურად რომ გაფიქრებინებდა კაცს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი თავის ადგილზე.

ბატონმა რევაზმა ძვირფასი ვაჟიშვილის ნაადრევად დაკარგვითა და მეზობელი რეგიონის სეპარატისტული მისწრაფებების გაღვივების სახით ათწლეულების განმავლობაში ზიდა მძიმე ჯვარი და პირნათელი მიეახლა წინაპრებს.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**



## მცხეთაში იუსტიციის სახლი აშენდება

**კიდევ ერთ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს იუსტიციის სამინისტრო ქალაქ მცხეთაში განახორციელებს, – ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.**

„იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ დავით ნოზაძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ერეკლე ღვინიანიძესა და იუსტიციის სახლის თავმჯდომარე ლაშა ლობჯანიძესთან ერთად ახალი ფილიალის მშენებლობის ადგილას სიმბოლური კაფსულა ჩაუშვა.

უახლოეს ხანში მცხეთის მოსახლეობას საშუალება ექნება, იუსტიციის სახლის 500-მდე სერვისი კომფორტულ და თანამედროვე გარემოში მიიღოს. მცხეთის იუსტიციის სახლში ქორწინების მსურველი წყვილებისთვის ქორწინების სახლიც განთავსდება.

ნებისმიერ წყვილს საშუალება ექნება, ქორწინების რეგისტრაცია დახვეწილი დიზაინის მქონე ქორწინების სახლში, საზეიმო ცერემონიალის თანხლებით დაგეგმოს, სადაც მათ სპეციალური საქორწინოსადღესასწაულო დეკორაციით გაფორმებული სივრცე დახვდებათ.

იუსტიციის სახლის ფილიალი მორგებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე. ფილიალში 20-მდე პირი დასაქმდება.

მცხეთის იუსტიციის სახლში იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების ოფისებიც განთავსდება.

მცხეთის იუსტიციის სახლი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რიგით მეექვსე ფილიალი იქნება. აღნიშნულ რეგიონში უკვე ფუნქციონირებს ყაზბეგის, თიანეთის, მუხრანის, დუშეთისა და ფასანაურის იუსტიციის სახლები.

მცხეთის იუსტიციის სახლის მშენებლობა არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანის პროექტით განხორციელდება და ფილიალის საერთო ფართი 976.9 კვადრატული მეტრი იქნება.

იუსტიციის სახლი ქალაქ მცხეთაში სამხედრო ქუჩა №9-ის მიმდებარედ აშენდება.

იუსტიციის სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა. მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს 121 იუსტიციის სახლი“, – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

## ბოლო 3 წელიწადში ჯარისკაცებს და პოლიციელებს ხელფასი 45%-ით გაეზარდათ

**ბოლო 3 წელში ჯარისკაცებს და პოლიციელებს ხელფასი 45%-ით, ხოლო საჯარო მოხელეებს 30%-ზე მეტით გაეზარდათ.**

შესაბამისი მონაცემები 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშია აღნიშნული.

„ჯარისკაცებისა და პოლიციელების ხელფასების ზრდა ბოლო 3 წლიან პერიოდში განხორციელდა 45%-ით.

გარდა ჯარისკაცებისა და პოლიციელებისა, 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მთლიანად საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის დაიწყო ხელფასების მოწესრიგება“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

## უბედური შემთხვევა სამხატვრო აკადემიაში

**14 წლის მოზარდი კორპუსიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.**

გავრცელებული ინფორმაციით, გოგო შენობის მეათე სართულიდან გადმოვარდა. გამოძიება, 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## მტკვარში ჩარჩენილი ბორანიდან ორი ადამიანი გადაარჩინეს

**ბორანი ვახუშტის ხიდის მიმდებარედ, მდინარე მტკვარში იყო ჩარჩენილი.**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მდინარის სიღრმე დაბალია, რის გამოც ბორანი ვეღარ ახერხებდა მოძრაობას.

ბორანზე ორი ადამიანი იმყოფებოდა და შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.მაშველებმა მაღალი პროფესიონალიზმი გამოავლინეს.

## ადამიანის ორგანიზმში ათასობით ტოქსიკური ნივთიერება აღმოაჩინეს...

**ადამიანის ორგანიზმში აღმოაჩინეს 3 600-ზე მეტი ქიმიკატი, რომლებიც კონტაქტში შედის საკვების შეფუთვაში, ჭურჭელში ან სხვა ნივთებში. ამის შესახებ ნათქვამია ახალ კვლევაში.**

მკვლევრების თქმით, ქიმიკატები ადამიანის სისხლში, თმასა და დედის რძეში აღმოაჩინეს. ეს სია მოიცავს უაღრესად ტოქსიკურ ნაერთებს, რომელთა უმეტესობა დაკავშირებულია კიბოსთან, ჰორმონალურ დისბალანსთან და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან.

საერთო ჯამში, კვლევამ გამოავლინა დაახლოებით 14 ათასი ქიმიკატი, რომელიც შეიძლება შედიოდეს პროდუქტებში, ამიტომ მისი შედეგები არ ნიშნავს იმას, რომ ქიმიკატების ორგანიზმში შეღწევაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ საკვების შეფუთვას ეკისრება.

ყველაზე ცუდ ნივთიერებებს შორის იყო პლასტმასი, რომელიც დიდწილად დაურეგულირებელია და შეიძლება შეიცავდეს ათასობით ქიმიურ ნივთიერებას. სილიკონი და ლითონის ქილების საფარი ასევე შეიძლება შეიცავდეს ტოქსიკურ ნაერთებს. გარდა ამისა, მკვლევარმა განმარტა, რომ ბევრი ქაღალდისა და მუყაოს პროდუქტი დამუშავებულია PFAS-ით და შესაძლოა შეიცავდეს პლასტმასის ფენას.

თუმცა, მომხმარებელს შეუძლია დაიცვას თავი ქიმიკატებისგან და იყიდოს შუშის პროდუქცია, რომელშიც ეს ნივთიერებები შედარებით ნაკლებია.


## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 15 ნოემბერი, 11:00 საათი, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის N12)** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 26 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.


## უთოფო ყაჩაღები, სამარცხვინო გამომძალველნი!

**შსს თბილისში, რამდენიმე ღამის კლუბში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ, ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.**



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დიდი ოდენობით თანხის დაუფლების თაღლითური სქემა გახსნეს. ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, დაკავებულია 15 პირი.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ თბილისში, რამდენიმე ღამის კლუბის მენეჯერებსა და მომსახურე პერსონალს შემუშავებული ჰქონდათ თაღლითობის გეგმა, გადანაწილებული ჰქონდათ როლები და მათ დაწესებულებაში შესულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მომსახურებასთან და შეკვეთილ პროდუქციასთან შეუსაბამო თანხებს სძალავდნენ. იმ შემთხვევაში თუ სტუმარი უარს აცხადებდა თანხის გადახდაზე, თანამშრომლები მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და მუქარას ახორციელებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ მოთხოვნილი თანხის მიღებას. ხოლო, თუ დაზარალებულები მაინც უარს აცხადებდნენ თაღლითურად დაკისრებული თანხის გადახდაზე, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე თბილისში დააკავა. სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონებია ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებით მიმდინარეობს“.



# საქართველოს პრემიერი UFC-ს ჩემპიონ მერაბ დვალიშვილს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე UFC-ს ჩემპიონის ტიტულის მფლობელ მერაბ დვალიშვილს შეხვდა.**

მთავრობის მეთაურმა სპორტსმენს გამარჯვება მიულოცა, წარმატებები უსურვა და ქვეყნისთვის მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

UFC-ს ჩემპიონმა ირაკლი კობახიძეს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

**გუშინდელი ფოსტიდან**

# მართლა მარტო კუნთებში გაქვს ტვინი, მერაბ?!

UFC-ის საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლაში ქართველმა მებრძოლმა, მერაბ დვალიშვილმა ამერიკელი შონ ო'მალი დაამარცხა და ამ ფაქტმა მთელი საქართველო აღაფრთოვანა. სამწუხაროდ, თვით მერაბი აღმოჩნდა უღირსი თანამემამულე, რომელმაც ერთ-ერთ უცხოურ ტელევიზიაში გამოსვლისას იკადრა და თავხედურად დაიწყო სტალინის ძაგება და ცილისწამება. სამართლიანი იქნება, ვიკითხოთ, მართლა და მართლა, ვინ ხარ შენ, ვისგან ხარ ჩაგონებული და ვის საამებლად აცხადებ საქვეყნოდ, რომ სტალინი არ არის ქართველი და სძულდა ქართველები, იყო ტირანი, გაანადგურა საქართველო და ა.შ.

გაოგნებული დაგვტოვე, მერაბ, იკადრე, რაც არ გეკადრება, მით უფრო ქართველს და მით უფრო ჩემპიონობით და რაღაც ქამრით თავმომწონეს. ბოდიში გაქვს ჩემპიონო მოსახდელი და ნუ დააყოვნებ.

ჩემთან საუბარში აღშფოთება გამოხატეს შენი უტიფარი განცხადების გამო კრივის ქართველმა ლეგენდებმა დავით კვაჭაძემ და გიორგი კანდელაკმა. საზოგადოება „სტალინელის" თავკაცმა გრიგოლ ონიანმა კი ტელევიზიით საჯაროდ, დაუნდობლად გაგინა კიდეც უშვერი სიტყვებით და ღირსიც იყავი.

ვიმეორებ, მერაბ, გონს მოეგე და დროზე მოიხადე ბოდიში საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე...



**გურამ საღარაძე,**
**საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.**

# ლეგენდარულ ფეხბურთელს მავზოლეუმში გადაასვენებენ



**არგენტინის ქალაქ სან ისიდროს სასამართლომ დააკმაყოფილა ლეგენდარული დიეგო მარადონას შვილების თხოვნა ფეხბურთელის სხეულის მავზოლეუმში გადატანის შესახებ. ეს ინფორმაცია გაზეთმა Clarin-მა გაავრცელა.**

აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდის სხეულს ბელა ვისტას კერძო (დახურული) სასაფლაოდან მავზოლეუმში გადაასვენებენ, რომელიც ბუენოს აირესის ცენტრში შენდება.

მავზოლეუმის აგება შედის პროექტ „მემორიალ 10"-ში, რომელიც ფეხბურთელს ეძღვნება. პროექტის თანახმად, მავზოლეუმი მნახველებისთვის ღია იქნება.

„ეს ადგილი გაცილებით უხიფათოა, ვიდრე ამჟამინდელი. არგენტინელ ხალხს და მსოფლიოს მოქალაქეებს შეეძლებათ, პატივი მოაგონ თავიანთ კერპს", – ასეთი არგუმენტი მოჰყავთ მარადონას შვილებს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7327; ევრო - 3.0251;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6296;**
**100 რუბლი - 2.8927; თურქული ლირა - 0.0798;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6074;**
**1000 სომხური დრამი - 7.0521.**

# სრულყოფილებისთვის ხელოვნებაში



**მიხეილ თუმანიშვილის** სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ჯილდო – „სრულყოფილებისათვის ხელოვნებაში" 2024 წელს გადაეცემა ქართველ რეჟისორს, პედაგოგს და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს **გიორგი მარგველაშვილს.** ინფორმაციას მარჯანიშვილის თეატრი ავრცელებს.

„ვულოცავთ ბატონ გიორგი მარგველაშვილს ამ ჯილდოს და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებას", – აღნიშნულია ინფორმაციაში.



# საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია მსოფლიოში

**საქართველოში გამართული მსოფლიო ტურიზმის დღის ღონისძიების ერთ-ერთი სპიკერი უზბეკეთის ტურიზმის, ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მინისტრი აზიზ აბდუხაკიმოვი საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე საუბრობს.**

„მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის მინისტრები შევიკრიბეთ ულამაზეს ქალაქ თბილისში. მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას მასპინძლობისთვის. განვიხილეთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება ლოჯისტიკას, უსაფრთხოებას, რა თქმა უნდა, მთავარი პუნქტი იყო ტურიზმი და მშვიდობა. ვიმსჯელეთ ჩვენს სამომავლო კავშირზე, ვიზის ახალ სტანდარტზე, რაც ხელს შეუწყობს, ტურიზმი გახდეს უფრო ხელმისაწვდომი. საქართველო გამოირჩევა ულამაზესი არქიტექტურით, მდიდარი ისტორიით, კულტურული მემკვიდრეობითა და სამზარეულოთი, თუ ჩვენ ამ ყველა კომპონენტს გავაერთიანებთ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული დანიშნულების ადგილია მსოფლიოში", – განაცხადა აზიზ აბდუხაკიმოვმა.

გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით, მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავი ღონისძიება საქართველოში პირველად გაიმართა. მსოფლიო ტურიზმის დღის ფარგლებში საქართველოს ეწვივნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მაღალი რანგის სტუმრები, ტურიზმის მინისტრები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ტურიზმის სფეროს პროფესიონალები, ჯამურად 300-ზე მეტი დელეგატი.

# შვედეთში მათხოვრობა იკრძალება

**შვედეთის ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციამ, რომელსაც მხარს უჭერენ უკიდურესად მემარჯვენე „შვედეთის დემოკრატები", გამოაცხადა ცხრათვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით ქუჩაში მოწყალების თხოვნა უნდა აიკრძალოს. ამის შესახებ „გარდიანი" წერს.**

ახალი რეგულაცია იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ 9-თვიანი საცდელი ეტაპი აჩვენებს, რომ მსგავსი აკრძალვის შემოღება არის შესაძლებელი.

ახალ რეგულაციაზე საუბრისას „შვედეთის დემოკრატების" ლიდერმა ლინდა ლინდბერგმა გააკრიტიკა ადამიანები, რომლებიც, მისი თქმით, ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან შვედეთში ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად ჩადიან.

შვედეთის მთავრობის მიერ ინიცირებული რეგულაციის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც ქუჩაში მოწყალებას ითხოვს, შესაბამისი ნებართვის აღება მოუწევს, რომელიც 250 შვედური კრონა ეღირება. იმ პირებს, რომლებსაც ლიცენზია არ ექნებათ, ჯარიმის სახით 4000 კრონის გადახდა მოუწევთ.

შვედეთის მთავრობის ინიციატივის წინააღმდეგ გამოდის ქრისტიანულ სოციალური ორგანიზაცია, რომელიც შვედეთის დედაქალაქში მოწყვლად ჯგუფებში შემავალ ადამიანებთან მუშაობს. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ფანი სილტბერგმა განაცხადა, რომ დახმარების თხოვნის აკრძალვით, შვედეთის მთავრობა, სინამდვილეში, „სიღარიბის კანონით აკრძალვას ცდილობს".

მისივე თქმით, მოწყალების მთხოვნელთა რაოდენობის შემცირება შესაძლებელია სიღარიბის სტრუქტურული შემცირებითა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით, რაც მოიცავს მოწყვლად ჯგუფებში შემავალი ადამიანების სამუშაო ადგილებითა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „სივილ რაით დიფენდერი" კი შვედეთის ხელისუფლებას სასამართლოში დავით ემუქრება.




საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,** აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 ოქტომბერს**